

The background features a teal gradient with abstract geometric shapes in yellow and red. In the top left, there is a network diagram with nodes and connecting lines. The title is written in white Georgian text.

ზუგდიდის კულტურის დანახულებებისა და მემკვიდრეობის ინფრასტრუქტურის რე-კონსტრუქცია

ვერსია 1.0

ზუგდიდის კულტურის დაწესებულებებისა და მემკვიდრეობის ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია მომზადდა ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც 4წულტურე პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და საქართველოში გოეთეს ინსტიტუტისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. დოკუმენტის შინაარსი და მასში წარმოდგენილი მასალა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ევროკავშირის თვალსაზრისს.

სარჩევი

შესავალი

ზუბდიდის კულტურის განვითარების
სტრატეგიის აქტუალობა

სამუშაო მეთოდოლოგია

რე-კონსტრუქციის ხედვა

ადგილობრივი კონტექსტის მოკლე მიმოხილვა

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

მუზეუმი და საგამოფანო სივრცე

თეატრი და კინო



კულტურის ცენტრი/სახლი

ბიბლიოთეკა, მედიათეკა და არქივი

შემოქმედებითი სივრცე

ღია/საჯარო/რეკრეაციული სივრცე

გამოყენებული წყაროები



თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად შექმნილი პროდუქტების პოპულარობამ და მრავალფუნქციურობამ, გამოიწვია კაცობრიობის ცნობიერების გარდატეხა ყველა ასპექტში. ადამიანებისათვის მეტად მიმზიდველი ხდება ადგილები, რომლებიც უზრუნველყოფს მათი საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას ერთ სივრცეში. აღნიშნული განპირობებულია თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობით. შედეგად, ნაკლებად პოპულარული ხდება კულტურის კლასიკური მოდელის დაწესებულებები, რომლებიც მომხმარებლებს მხოლოდ ერთ, კონკრეტულ პროდუქტს სთავაზობენ, ეს იქნება თეატრი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, საკონცერტო დარბაზი, სამხატვრო გალერეა თუ სხვა. რაც, დღის წესრიგში აყენებს ტრადიციული მოდელების გადაფასებასა და განვითარების კონცეფციებში თანამედროვე ადამიანის მოთხოვნების ინტეგრირების საჭიროებას.

იმისათვის, რომ კულტურის დაწესებულებებმა არ დაკარგონ აქტუალობა და მიმზიდველობა, აუცილებელია მათი კლასიკური მოდელების გადაზრება, რაც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის სერვისების შეთავაზებას ადგილზე, ეს იქნება განსხვავებული შემეცნებითი თუ საგანმანათლებლო პროგრამები, კვების ობიექტები, სუვენირების მაღაზიები, სამუშაო სივრცეები და სხვა. მულტიფუნქციურობა - ზუსტად ეს არის დღეს მოთხოვნადი. ასეთი ტიპის მიდგომების დამკვიდრება პოზიტიურად აისახება არამარტო დაწესებულების შემოსავლებზე და მიმზიდველობაზე, არამედ ტურიზმზე და ზოგადად, ქალაქის, ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, შემოქმედებითი და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, ინიცირდა პროგრამა “რე-კონცეფცია”, რომელიც მიზნად ისახავს, წაახალისოს და ხელი შეუწყოს ზუგდიდსა და რეგიონში არსებული კულტურული ობიექტების მულტიფუნქციურ სივრცეებად გარდაქმნას, ქალაქში არსებული საჯარო (მუნიციპალური) კულტურული დაწესებულებებისა (მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, თეატრი და სხვ.) და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რე-კონცეფციის გზით, ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი კულტურული გამოცდილებისა და სერვისების (საგანმანათლებლო, ინტერაქტიული, სარეკრეაციო, გასართობი, სამეწარმეო და სხვა) შეთავაზებისათვის. რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს აღნიშნულ კულტურულ დაწესებულებათა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაციას.

პროგრამა “რე-კონცეფცია” ითვალისწინებს კულტურული დაწესებულებ(ებ)ის მენეჯმენტთან, დაინტერესებულ ახალგაზრდებთან და მოწვეულ ექსპერტებთან ერთად აქტიურ მუშაობას (სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები), და შესაბამისი კონცეპტუალური დოკუმენტის/რეკომენდაციების შემუშავებას ობიექტ(ებ)ის რე-კონცეფციის მიზნით. პროგრამის ფარგლებში იგეგმება ასევე Re-Conception Boot Camp-ის ჩატარება შერჩეულ კულტურულ დაწესებულებასთან და/ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან მიმართებით. ლე-ჩონცეპტიონ **Boot Camp** ჩამო საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და ახალგაზრდებს ჩაერთონ პროცესში და იმუშავონ კრეატიული და ინოვაციური მოდელების, სერვისებისა და შესაძლებლობების შემუშავების პროცესში.

“ზუთ ქემფის” მიმდინარეობისას, სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებას გუნდურ მუშაობაში, შეიძენენ პროექტის წერის, კულტურის მენეჯმენტის უნარებსა და გაეცნობიან საერთაშორისოდ ადაპტირებულ მენეჯმენტის ინსტრუმენტებს: იდეის ჩამოყალიბების ეტაპებს, საჭიროებების კვლევის მექანიზმებს, ბიზნეს მოდელებს, ვალიდაციასა და მარკეტინგს, აიმაღლებენ “პიჩინგის” უნარებს და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კონცეპტუალურ, სარეკომენდაციო გზამკვლევს, ზუგდიდში არსებული კულტურული დაწესებულებების მოდერნიზაციისათვის. ის შემუშავებულია ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში და მხარდაჭერილია პროექტის EU4Culture მიერ.



2. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის კულტურის განვითარების სტრატეგია

ზუგდიდის კულტურის განვითარების 5 წლიანი სტრატეგია (იხ. ბმული - ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია.pdf - Google Drive), 2022 წლიდან 2026 წლის ჩათვლით, ქალაქის მთავარ კულტურულ და შემოქმედებით თემებს, შესაძლებლობებს, მიზანსწრაფვებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირის დაფინანსებული EU4Culture პროექტ^[1] მხარდაჭერით, რომელიც განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტის, ჩეხეთის ცენტრების, დანიის კულტურის ინსტიტუტისა და ფრანგული ინსტიტუტის მიერ, Creative Spark (საქართველო), Creative Strategies Lab (საქართველო), Creativity Lab (ესტონეთი) და Culture Venture (მალტა) მჭიდრო თანამშრომლობით.

ქალაქისთვის კულტურის განვითარების პირველი სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მიერ 2022 წლის მაისში იქნა დამტკიცებული და ქალაქში მოღვაწე ხელოვნებისა და ოსტატების, პროფესიული წრეების, კულტურის საჯარო და კერძო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლების, ახალგაზრდობისა და, მთლიანად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, საჯარო კონსულტაციების დროს იდენტიფიცირებულ გამოწვევებს, აქტუალურ თემებსა და პრიორიტეტებს ეყრდნობა.

ამ კონსულტაციებმა ცხადყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ერთსულოვანია ზუგდიდის გამორჩეული ისტორიული და კულტურული კონტექსტისა და თავისებურებების შეფასებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ უნიკალური რესურსის სათანადო განვითარებას, შეფუთვის, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქმა 3 მთავარი თემა და მიზანსწრაფვა განსაზღვრა:

ზუგდიდი:

- 1) კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი;
- 2) ხელოვნებისა და რენჯის შემოქმედებითი ქალაქი;
- 3) გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი.



[1] EU4Culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი (2021-2024) პროექტია, რომლის მიზანია კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში. ამ მიზნით, პროექტი მხარს უჭერს ქალაქებს კულტურის განვითარების იმ სტრატეგიების მომზადებაში, რომლებიც ევროპული კულტურული დედაქალაქების მიდგომებს შეესაბამება. პროექტი ასევე უზრუნველყოფს არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების მობილობის პროგრამების დაფინანსებას, ასევე, ფესტივალების, კულტურული და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას. EU4Culture პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 70-მა ქალაქმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. ზუგდიდი პროექტის ფარგლებში მსოფლიოს 70 ქალაქს შორის შეირჩა და 300.000 ევროს ოდენობის გრანტი მოიპოვა კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მიზნით.

კონსულტაციების დროს სხვა ურთიერთმკვეთი პრიორიტეტებიც გამოვლინდა, რომლებზეც ქალაქმა უნდა გაამახვილოს ყურადღება, რათა წარმატებული იყოს თავისი სტრატეგიის განხორციელებაში.

ეს პრიორიტეტებია:

1. ადამიანური კაპიტალი: უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
2. აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა;
3. თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება;
4. კულტურის მართვის გაუმჯობესება;
5. შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
6. კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის მე-5 ურთიერთმკვეთი პრიორიტეტის ფარგლებში, კერძოდ შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნების საპასუხოდ.

ზუგდიდში შემოქმედებითი სივრცეების შექმნა, ადგილობრივი კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი განზომილება და წინაპირობაა. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის მიზანია, ზუგდიდში შეიქმნას და განვითარდეს არაერთი შემოქმედებითი სივრცე და ამით ქალაქში შემოქმედებითობას, ინოვაციურობასა და პროდუქტიულობას შეეწყოს ხელი.

შემოქმედებითი სივრცის პირველი და უმთავრესი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ტერიტორია, სადაც შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლებს თავისუფლად შეეძლებათ მოღვაწეობა; სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან დაკავშირება; შემოქმედებითი და ინოვაციური თანამშრომლობების ინიცირება და, რაც მთავარია, სოციალური ჩართულობისა და ქალაქის ეკონომიური განვითარების სტიმულირება.

კრეატიული სამუშაო სივრცეები საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს შემოქმედებით მუშაობას. ეს სივრცეები იქმნება შემოქმედებითი თანამშრომლობისთვის და ისინი ხელს უწყობენ სოციალურ ურთიერთქმედებას, ცოდნის დამუშავებასა და ინოვაციური პროექტების ინიცირებას.


სტრატეგიის მიზანია, ქალაქის კულტურული ინფრასტრუქტურის შემოქმედებითი პროცესების ცენტრში განთავსება, ხელოვნებისა და კულტურის სექტორის ინსტიტუტების სამეწარმეო შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების გზით, უფრო თანამშრომლობითი და ღია კომუნიკაციისთვის. ქალაქის ბიბლიოთეკების, თეატრების, გალერეებისა და მუზეუმების პოზიციონირება, როგორც ინტერ-დისციპლინური პრაქტიკის სივრცეები, როგორც შემოქმედებითი ბიზნესის კერები, სექტორთა-შორისი გაცვლის ადგილები და როგორც შემოქმედებითი განათლებისა და ნიჭის განვითარების გარემო.



ამისათვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ინვესტიციების განხორციელება შემოქმედებითი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა ფაბ-ლაბები (Fab-labs), ინკუბატორები (Incubators), აქსელერატორები (Accelerators), საერთო სამუშაო სივრცეები (co-working spaces) და ვირტუალური ჰაბები, რაც საშუალებას მისცემს შემოქმედებით და სხვა ბიზნესებს ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტები და სერვისები. ალტერნატიული წინადადება - ამ მიმართულებით შესაძლებელია ძველი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის ათვისებაც სადაც შემოქმედებითი ადამიანები შეიკრიბებიან, განიხილავენ თავიანთ იდეებს, გამოცდიან მათ შესაბამისობას ბაზართან მიმართებაში და ჩაატარებენ ექსპერიმენტებს. ეს გააძლიერებს ინტერ-დისციპლინურ გარემოს, გაზრდის ქალაქის მიმზიდველობას და განავითარებს ადგილობრივ საზოგადოებას.

სწორედ ამიტომ, სტრატეგიის ფარგლებში იგეგმება პროგრამის „ძველი ინდუსტრიული სივრცეების ახალი შემოქმედებითი სიცოცხლე“ ინიცირება. ამ პროგრამის, პირველი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ჩვენი გუნდის მიერ მომზადებული **“ზუგდიდის შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევის” დოკუმენტი (იხ. ბმული - შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა.pdf - Google Drive)** რომლის მიზანს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძველი და გამოუყენებელი ინდუსტრიული ობიექტების ინვენტარიზაცია, მათი შემდგომ შემოქმედებით სივრცეებად გარდაქმნის რეკომენდაციებსა და ხედვს წარმოადგენდა. ამ მიმართულებით იგეგმება მუშაობის გაგრძელება, მსოფლიო საუკეთესო მაგალითების გაზიარების გზით და მჭიდრო თანამშრომლობა როგორც სახელოვნებო, ისე კერძო სექტორთან, საჯარო და კერძო თანამშრომლობის (Public Private Partnership) ფორმატში.

ზემოაღნიშნული პროცესის შედეგი იქნება ზუგდიდის ხელოვნების ფაბრიკის დაარსება, რომელიც ზუგდიდის ტერიტორიაზე შერჩეული უძრავი ქონების გარდაქმნისა და განვითარების გზით, მრავალფეროვან მულტიფუნქციურ შემოქმედებით სივრცედ იქცევა.



3. სამუშაო პეიოლოლობია



წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისა და შემდგომში დახვეწის მიზნით, განისაზღვრა ორ ეტაპიანი გეგმა:

I ეტაპი:

- სამაგიდე კვლევა საუკეთესო და წარმატებული მაგალითების მოძიების მიზნით;
- კითხვარის მომზადება, გავრცელება და მიღებული შედეგების გაანალიზება;
- საჯარო კონსულტაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების ადაპტირება რე-კონცეფციის დოკუმენტში;
- რე-კონცეფციის დოკუმენტის სამუშაო ვერსია 1.0-ის მომზადება და საჯარო პრეზენტაცია.

II ეტაპი:

- Re-Conception Boot Camp-ის დაგეგმვა და ჩატარება;
- Re-Conception Boot Camp-ის შედეგების ასახვა რე-კონცეფციის დოკუმენტში და სამუშაო ვერსია 2.0-ის მომზადება და საჯარო პრეზენტაცია.

4. რე-კონსტრუქციის ხედვა



სამწუხაროდ, ზუგდიდის მრავალფეროვანი კულტურული რესურსი ვერ აკმაყოფილებს ზუგდიდის მოსახლეობის წინაშე არსებულ საჭიროებებს, ვერ ახორციელებს კულტურული პოტენციალის სრულფასოვან გამოყენებასა და შესაბამისად, სათანადოდ წარმოჩენას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

კერძოდ, ზუგდიდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და კულტურული ინფრასტრუქტურა ნაკლებად გვევლინება მულტიფუნქციური და/ან შემოქმედებითი სივრცეების ფუნქციით. აქ არ არის დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა ვირტუალური ტურები, აუდიო გიდები, მობილური აპლიკაციები და სხვა. ნაკლებად არის განხორციელებული, ხელთ არსებული რესურსების დიგიტალიზაციის პროცესი და სხვა.

გარდა ამისა, დაბალია საზოგადოების ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, მოვლა-პატრონობისა და განვითარების პროცესში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია კულტურული და შემოქმედებითი პროცესების მაღალ დონეზე წარმართვისათვის. აღნიშნულ ობიექტებზე სხვადასხვა ტიპის აქტივობების (ფესტივალები; მასტერკლასები, საგანმანათლებლო აქტივობები და სხვა) გამართვის პრაქტიკაც საკმაოდ დაბალია, რაც, თავის მხრივ, სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს ობიექტებისა და ტურისტულად მნიშვნელოვანი ადგილების ცნობადობისა და მიმზიდველობის გაზრდას.

ასევე, სათანადოდ აღნუსხული არ არის მატერიალური და არამატერიალური კულტურული რესურსები და ნაკლებად ხორციელდება მათი, რეგისტრირებულ ძეგლთა ნუსხაში შეტანა და შესაბამისი სტატუსით დაცვა. რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მათ სათანადოდ წარმოჩენასა და დაცულობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, დაბალია ზემოაღნიშნული კულტურული რესურსების გამოყენების შესაძლებლობაც, როგორც სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ასევე შემოქმედებით პროცესებში.

ერთ-ერთ ძირეულ პრობლემად რჩება, კულტურულ ობიექტებზე არ არსებული, ან გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მანიშნებლები, ბანერები, საინფორმაციო დაფები, სველი ნერტილები და სხვა). ასევე, შშმ პირებისათვის სერვისების სრულფასოვნად შეთავაზების შესაძლებლობის ნაკლებობა.

მნიშვნელოვანი პრობლემების ჩამონათვალს რა თქმა უნდა ემატება, ორგანიზაციების მცირე შემოსავალი და მეტწილად სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებულება, რაც განპირობებულია გაყიდული ბილეთების დაბალი რაოდენობით ან/და შეთავაზებული სერვისების ნაკლები ინტერესით საზოგადოების მხრიდან. რაც თავის მხრივ, გამოწვეულია ადგილობრივი კერძო სექტორის დაბალი ჩართულობით კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის, კულტურული პროცესების განვითარებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების გამრავალფეროვნების პროცესში.

4. რე-კონსტრუქციის ხედვა


9

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდში სხვადასხვა კერძო თუ საჯარო ობიექტის ბაზაზე არსებობს არაერთი სატრენინგო და შეხვედრების სივრცეები, არ არსებობს სივრცე, სადაც ახალგაზრდებს და დამწყებ ხელოვანებს შეუძლიათ შეხვედრა, ერთმანეთისთვის საკუთარი იდეებს, მიზნებისა და რესურსების გაზიარება, საბაზისო ინფრასტრუქტურით სარგებლობა და აქტივობების დაგეგმვა.

ამასთან, ქალაქში პრაქტიკულად არ არსებობს მულტიფუნქციური სივრცე, რომელიც შეძლებს უმასპინძლოს, როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო დონის მსხვილმასშტაბიან ღონისძიებას.

დამატებით, იგივე დადასტურდა 2021-2022 წლებში ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კვლევებით, რომლებმაც ცხადყო ზუგდიდის მოსახლეობისათვის მულტიფუნქციური და შემოქმედებითი სივრცეების არსებობის უკიდურესი საჭიროების აუცილებლობა.

სწორედ ამიტომ, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიით განისაზღვრა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც საბოლოოდ მიზნად ისახავს გაზარდოს კულტურული და შემოქმედებითი სივრცეებისა და სერვისების ხელმისაწვდომობა. ამ ღონისძიებების ნაწილია პროგრამა “რე-კონცეფცია”, რომელიც მიზნად ისახავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული დაწესებულებებისა (მაგ.: მუზეუმი, თეატრი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და სხვ.) და კულტურული მემკვიდრეობის ინფრასტრუქტურის ხელახალ გააზრებასა და რე-კონცეფციას, მათი მულტიფუნქციონალური დატვირთვის, სამენარმოო პოტენციალის გაზრდის, ინსტიტუციონალური მდგრადობისა და განვითარების მიზნით.



5. ადგილობრივი კონტექსტის მოკლე მიმოხილვა

საერთო ჯამში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი და სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი 8 კულტურული და შემოქმედებითი ორგანიზაცია ფუნქციონირებს. კულტურის ობიექტების რაოდენობა კი 50-ს შეადგენს. მათ შესახებ უფრო დეტალურ ინფორმაციას, მოგვიანებით, შესაბამის თავებში შემოგთავაზებთ.



5. ადგილობრივი კონტაქსტის მოკლე მიმოხილვა

კულტურის 50 ობიექტი



გარდა ამისა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი კულტურული ინფრასტრუქტურაა. ხელმისაწვდომია როგორც დახურული, ასევე ღია სივრცეები.

საერთო ჯამში, 2022 წელს განხორციელებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული კულტურული რესურსის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში ფუნქციონირებს 24 დარბაზი, მათ შორის, სხვადასხვა ზომის 5 დარბაზი სცენით, 1 ამფითეატრი და 18 საგამოფენო სივრცე, ამასთან, აღსანიშნავია, ისიც, რომ 6 მათგანი განლაგებულია სოფლად.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია, ჯამში, 10 პარკი და სკვერი (ზუგდიდის ცენტრალური პარკი (ე. წ. „სკეიტ პარკი“); ზუგდიდის ევროპული პარკი (ე.წ. „ფრანგული“); ზუგდიდის XIX საუკუნის ცენტრალური ბულვარი; 9 აპრილის სკვერი; იონა მეუნარგიას სახელობის სკვერი; განმუხურის ბულვარი და აკვა- პარკი; ანაკლიის დასვენების პარკი; ზუგდიდის ვეტერანთა ხეივანი და სკვერი; ემიგრანტთა ბაღი „ფესვები“, სამაიას ბაღი), რომელიც ასევე შეიძლება განხილულ იქნას როგორც კულტურული ატრაქცია, რასაც ემატება ბოტანიკური ბაღისა და „დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის“ ტერიტორია.

ასევე, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ობიექტებზე ხელმისაწვდომია საკონფერენციო დარბაზებიც, რომელთა საერთო რაოდენობა 7-ს შეადგენს და მათ შეუძლიათ უმასპინძლონ როგორც მცირე, ასევე, საკმაოდ მასშტაბურ კონფერენციებს, შეხვედრებსა და ტრენინგებს.

ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ობიექტების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. პერიოდულად, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხორციელდება მათი სრული ან ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები, ხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ან გაუმჯობესება.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 300-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული, არქეოლოგიური, მონუმენტური, სახვითი ხელოვნების და მემორიალური სახის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტია. ამ ეტაპზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის 10 უძრავი ძეგლია, რომელთაგან 3-ს აქვს ეროვნული კატეგორია განსაზღვრული. ხოლო ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის 2 უძრავი ძეგლია, რომელთაგან ერთს ეროვნული კატეგორია აქვს განსაზღვრული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდებარე ჭაქვინჯის ციხე ევროპის 7 განსკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა შორის მოხვდა.

კულტურულ მემკვიდრეობაზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს ტრადიციული რენვა და ტრადიციული სამზარეულო. როგორც მოგეხსენებათ ტრადიციული რენვა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დარგებს შორის ყველაზე მატერიალურია, რადგან მისი პროდუქტი მატერიალური სახით გვევლინება. თუმცა, იმდენად, რამდენადაც რენვა და ხელოსნობა დაკავშირებულია ცოდნასთან და უნარებთან, რომელიც ზეპირსიტყვიერი ტრადიციით თაობიდან თაობას გადაეცემოდა, კონვენცია სწორედ არამატერიალურ უნარებსა და ცოდნას შეეხებოდა, და არა რომელიმე კონკრეტულ ნიმუშს.

6. კულტურული მემკვიდრეობა



ტრადიციული კერძები და სასმელები კი, ზუგდიდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმოდგენილია ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურით, მეგრული აჯიკის მომზადების ტექნოლოგიით, სულგუნის, ხაჭაპურისა და ელარჯის ტრადიციით საქართველოში. მეგრული კერძების ინგრედიენტები, საკვების მომზადება-შენახვის ტექნოლოგიები და დამზადების წესები თვალნათლივ მეტყველებს ზუგდიდისა და მთლიანად რეგიონის კულტურაზე და მდიდარ წარსულზე.

“ზუგდიდის შემოქმედებითი და კულტურის ინდუსტრიების გზამკვლევი”-ს თანახმად, გამოიკვეთა, რომ ზუგდიდში ტრადიციული რენვის მიმართულებით აქტიურად მუშაობს - 120 სუბიექტი, რომელთა შორის არიან როგორც ცალკეული პირები, ასევე სახელოსნოები. გასტრონომიისა და ტრადიციული სამზარეულოს მიმართულებით კი აქტიურ საქმიანობას ეწევა 19 ობიექტი, რომელთაგან, კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში, საინტერესოები არიან, ეთნოგრაფიული სოფელი “სისა ტურა” და “ფოლკლორის სახლი”. ორივე ობიექტი მრავალფეროვან სერვისსთავაზობს ვიზიტორს. ავთენტური ინტერიერი, ადგილობრივი კერძების დაგემოვნება და მათი მომზადების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობა, ფოლკლორი და მრავალხმიანობა, ამ ყველაფერს ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტი ერთ სივრცეში ეცნობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით იდენტიფიცირდა 9 ელემენტი, კერძოდ: ქართული მრავალხმიანობა; ქართული ჭიდაობა; ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნა და მისი გამოყენების ტრადიციები; ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი - მარულა, თარჩია; ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში; სულგუნის ტრადიცია საქართველოში; მეგრული აჯიკის მომზადების ტექნოლოგია; ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურა; მანვნის მომზადების ტრადიცია.

განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

როგორც უკვე აღინიშნა, ზუგდიდი მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქალაქია, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მართვისა და წარმოჩენის მიზნით, ინოვაციური მიდგომებისა და ინიციატივებისთვის მაღალი პოტენციალია, რომლის ათვისებაც ხელს შეუწყობს ქალაქის მომხიბვლელობის გაზრდას.

შესაბამისად, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნების საფუძველზე, ზუგდიდი კულტურული ტურიზმის კონტექსტში ძალიან საინტერესო მუნიციპალიტეტად გვევლინება, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, მისი ტერიტორია მოიცავს როგორც ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს და რესურსებს, ასევე, კურორტებს (ცაიში, ჭკადუაში და ანაკლია), გამორჩეულ არქიტექტურას, მუზეუმებს, სახასიათო და ავთენტურ გასტრონომიას, ხელობის მრავალფეროვნებასა და სხვა კულტურისა და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ ობიექტს. ქალაქი ძალიან მრავალფეროვანი და მდიდარია, როგორც კულტურული, გასტრო და ეთნო-ტურიზმის, ასევე, ეკოტურიზმისა და რელიგიური ტურიზმის პოტენციალის თვალსაზრისითაც.

საინტერესოა ისიც, რომ სამეგრელოს მასშტაბით, ტურების ტიპის მიხედვით მაჩვენებელი შემდეგნაირია: ტურების უმეტესობა კულტურულია (57%), რასაც მოჰყვება სათავგადასავლო ტურები (31%), აგრეთვე აქტუალურია გასტრონომიული ტურები (5%), ხოლო დანარჩენი ნაწილი სხვა ტიპის ტურებითაა დაკავებული.

ქალაქისა და მისი კულტურულ-ტურისტული პროდუქტების ეფექტური ბრენდირებისა და წარმოჩენისათვის პროცესში ადგილობრივი თემების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაა საჭირო. ამისთვის კი კულტურისა და მემკვიდრეობის სფეროში პროდუქტის განვითარების, ინოვაციების, ტრენინგებისა და ბიზნეს უნარების შესაძლებლობების განვითარებაა აუცილებელი, რათა კულტურასა და ტურიზმს შორის მდგრადი ხიდეები აიგოს.

მთავარი ამოცანაა, ხელი შეეწყოს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის რესურსების იდენტიფიკაციას, წარმოჩენას და მათ აქტიურ ჩართვას ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ტურისტულ მარშრუტებში. რისთვისაც არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მათი მიმდებარე ტერიტორია შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც კულტურის ატრაქციები, რომელიც უმასპინძლებს სხვადასხვა სახის კულტურულ თუ შემოქმედებით აქტივობას, როგორიც არის: გამოფენა, კონცერტი, თეატრალური წარმოდგენა, კინოჩვენება, ფესტივალი და სხვა.

ასევე შესაძლებელია მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყოს ისეთი ტიპის ატრაქციები, როგორიც არის სუვენირების დახლები, კვების ობიექტები, მინი სასტუმროები (კოტეჯები, საიკნიკე ან/და საკემპინგე ზონები) გადასახედი მოედნები, ზიპლაინები და სხვა.



სერვისების თვალსაზრისით, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, შესაძლებელია ისტორიული თეატრალიზირებული ტურების შეთავაზება, სადაც ვიზიტორი ხდება ისტორიის პერსონაჟი და თამაშობს გარკვეულ როლს, ან თუნდაც თვალს ადევნებს თეატრალიზირებულ შოუს, რომელიც უამბობს მას ძეგლის შესახებ. არ უნდა დავივიწყოთ ტრადიციული სამზარეულო და ფოლკლორი (მრავალხმიანობა, თხზულება, მითები, ტრადიციული რენვა, ხელობა და სხვა), რომელიც ასევე შესაძლებელია გახდეს ასეთი ტურების ნაწილი, ან დამატებითი სერვის მომსახურების განევის შესაძლებლობა, მათ შორის მასტერკლასების სახით.

ასევე მნიშვნელოვანია თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით მოხდეს საინფორმაციო დაფების გაციფრულება. თანამედროვე ტექნოლოგიებს გამოყენების გზით, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა სახის სერვისების შეთავაზებაც, ასეთია მაგალითად ვირტუალური ტური, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ჩამოშლილი ნაწილების ციფრული ვიზუალიზაცია ბანერებისა ან/და ციფრული და გრაფიკული გამოსახულების სახით. სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ვიზიტორებისათვის შესაძლებელია ანიმაციური ტურების შეთავაზება, ამავე ასაკობრივი ჯგუფებისათვის საინტერესო იქნება ისტორიულ-შემეცნებითი სათამაშო ტურების მოწყობაც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტიპური საცხოვრებელი, რომელსაც ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, ოდა ჰქვია. ასეთი სახლები დასავლეთ საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოდან და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება.

ზუგდიდში, ისევე როგორც, მთლიანად რეგიონში, განთავსებული ოდა სახლების უმრავლესობას არ აქვს მინიჭებული უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და მათი უმრავლესობა საჭიროებს გადაუდებელ საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

ოდა სახლებში შესაძლებელია მოენყოს საინტერესო გამოფენები და ექსპოზიციები, შემოქმედებითი სივრცეები ხელოვნებისათვის, სივრცეები შეხვედრებისა და საღამოებისათვის, ეთნო-კაფეტერიები და რესტორნები.



საინტერესო / წარმატებული მაგალითები

მაგალითი 1

ჭაქვინჯის ციხე ზუგდიდიდან 16 კმ-ს დაშორებით, ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს, რომელიც შუასაუკუნეების ისტორიული საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენს. ციხე სტრატეგიულად გამორჩეულ ადგილზეა აშენებული. შორს, ქვემოთ კოლხეთის ვრცელი დაბლობი მოჩანს. მზიან ამინდში, საღამოჟამს ზღვაც ირეკლება. ციხის ფერდობი ნელ-ნელა ეშვება მდინარე ჭანისწყლისკენ. ციხიდან არის ჭანისწყლის ხეობის გადმოსახედი ადგილი. ჭაქვინჯის ციხე აერთიანებს საკუთრივ დედა ციხეს, გალავანს, პალატის ნაშთს. საიდუმლო გასასვლელ გვირავს, ქვედა ციხის ფრაგმენტებს.

ციხიდან ჩრდილოეთისაკენ, საკმაოდ დაშორებულ მანძილზე არის კიდევ მეორე, პატარა ციხე. ამ ორ ციხეს შუა, თურმე დაკარგული სავალი ყოფილა, როცა დიდ ციხეში მყოფთ ომიანობის დროს მტრების მიერ გარშემორტყმულთ, ჭის წყალი შემოელეოდათ, ამ დაფარული გზით მიდიოდნენ პატარა ციხეში და იქიდან მოჰქონდათ წყალი.

ჭაქვინჯის ციხის გარშემო არაერთი ისტორიულ-კულტურული და ბუნების ძეგლია. უშუალოდ ჭაქვინჯის ციხის ფსკერზე მდებარეობს მღვიმე. მოპირდაპირე ბორცვზეც ასევე განთავსებულია სიფონიანი (წყლით სავსე) მღვიმე. აქვე, საზარანდიოს უბანში მდებარეობს დარბაზული ტიპის გამოქვაბული-მღვიმე.

ისტორიულად ჭაქვინჯის ციხის მიდამოები გამოირჩეოდა მეღვინეობისთვის ხელსაყრელი მიკროკლიმატით. შესაბამისად ჯიხაშკარი განთქმული იყო ღვინოს კულტურით. ჭაქვინჯის ციხის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩევა მდიდარი ტრადიციებით. აქ იმართება სხვადასხვა სახალხო დღესასწაულები „მისანიორობა“/ქეჯვარობა“, „ჯარალუა“ და სხვ.

2019 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჭაქვინჯის ციხეს განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით 2023 წელს მოხდა ჭაქვინჯის ციხის ევროპა ნოსტრას - 7 განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების პროგრამაში ნომინირება, რის შედეგადაც ის, ევროპის 7 განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა შორის მოხვდა.

ევროპა ნოსტრას - 7 განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების პროგრამა სამოქალაქო საზოგადოების კამპანიის ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ევროპაში მდებარე საფრთხის ქვეშ მყოფი მემკვიდრეობის გადარჩენას ისახავს მიზნად. სიაში ყოფნა ერთგვარი კატალიზატორია მოქმედებისა და საჭირო საჯარო თუ კერძო მხარდაჭერის მობილიზაციისათვის. საბოლოო ჯამში, პროგრამა ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას; ის ასევე მოიცავს და ხელს უწყობს ევროპული იდენტობის განცდას და უფრო ფართო ევროპულ საზოგადოებას მიკუთვნებულობის გრძნობას.



„ენგურჰესი“ ამიერკავკასიაში უდიდესი სიმძლავრის ჰესია, რომელიც მდინარე ენგურზე, დასავლეთ საქართველოში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, დაბა ჯვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ენგურჰესის თაღოვან კაშხალს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი 2015 წლის 4 სექტემბერს მიენიჭა. 2021 წლიდან „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხალი ოფიციალურად “ევროპის საბჭოს, კულტურული მარშრუტების პროგრამის, ევროპის ინდუსტრიული მემკვიდრეობის მარშრუტის” სერთიფიცირებული წევრი გახდა. კაშხალი, საქართველოდან პირველი ობიექტია, რომელიც ევროპის ინდუსტრიული მემკვიდრეობის მარშრუტში გაწევრიანდა.

ენგურჰესის კაშხლის ტურისტული მარშრუტის ხანგრძლივობა 2 საათია და ვიზიტორებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ კაშხლის ხიდი, დისკური ფარების შენობა, გვირაბი, ნყალ-საცავის ფარების განყოფილება და სხვა საინტერესო ადგილები. ტურისტულად ეს ობიექტი ძალიან მიმზიდველია და ამავედროულად, არის ძალიან კარგი საშუალება ადამიანების დაახლოებისა და ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის.

2023 წელს ჰესის ტერიტორიაზე გაიხსნა კინოდარბაზი სადაც პერიოდულად ეწყობა მხატვრულ-დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენება. ასევე, ტურისტული მარშრუტის სიახლეა 315-ე გვირაბში მოწყობილი ინსტალაციებიც, რომლებიც ვიზიტორებს ტურისტულ-ინდუსტრიული ძეგლის შესახებ შთამბეჭდავ ვიზუალურ ინფორმაციას აწვდის.

„ენგურჰესის“ კაშხალის კულტურული მარშრუტის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობის მომდევნო ეტაპი მოიცავს გადასახედი მოედნების, საბაგირო გზის, სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრის, ღია საკონცერტო სივრცისა და კაშხალზე, მსოფლიოში არსებულ ყველაზე მაღალი ლიფტის მოწყობას.

ინდუსტრიული მემკვიდრეობის მონუმენტურ ძეგლებზე ტურისტული ატრაქციის მოწყობის პრაქტიკა მთელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე მსგავს პროექტს იცნობს. აქედან ერთ-ერთი ჰუვერის დამბის სახელითაა ცნობილი (აშშ. კალიფორნია). თუმცა ენგურჰესის ტურისტულ ზონას მულტიდისციპლინური ატრაქციებისა და სამეცნიერო-აღმოჩენათა ცენტრის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში მსოფლიო ანალოგი არ აქვს.

კლდეში ნაკვეთი ქალაქი - უფლისციხე კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება და საქალაქო ცენტრი იყო. ისტორიული წყაროების მიხედვით, ქალაქი უფლისციხე დააარსა ქართლოსის შვილიშვილმა უფლოსმა და ქალაქიც სწორედ მის სახელს ატარებს. ის ქ. გორის აღმოსავლეთით მე-10 კმ-ზე, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირას მდებარეობს.

დღესდღეობით იგი წარმოადგენს უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს. მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს: კლდეში ნაკვეთ ქუჩებს და მოედნებს, წარმართულ ტაძრებს, სასახლეებს, სარიტუალო ქვაბულებს, დეკორირებულ კლდოვან დარბაზებს, პურის საცხობებს, საიდუმლო გვირაბს, აგრეთვე უძველესი სამნავიანი ბაზილიკის ფრაგმენტებს, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, წარმართული ტაძრის ადგილას აღმართულ უფლისწულის ეკლესიას (აღრეშუასაუკუნეები), შუა საუკუნეების სახლებს და დარბაზებს. მუზეუმში წარმოდგენილია უფლისციხის ნაქალაქარსა და მის გარეუბნებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: მცირე პლასტიკის უნიკალური ნიმუშები, სამკაულები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, საკულტო-სარიტუალო ნივთები.

წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნეში იხსენიება. უფლისციხესა და მის შემოგარენში დაცულია არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან უძველესი ადრინდელი ბრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს განეკუთვნება (ნამოსახლარები ლაშეთხევში, გუდაბერტყაზე, გორთან). შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისაა ყათლანიხევის გორასამოსახლოს ქვედა ფენა.

უფლისციხის უდიდესი ნაწილი დღეს დანგრეულია და პირვანდელი სახე თითქმის სრულად შეცვლილი. 2006 წელს უფლისციხეს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის კატეგორია. 2007 წელს კი ის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ სიაში შეიტანეს. ქალაქის გადარჩენისა და ამ ბრწყინვალე ძეგლის შენარჩუნების მიზნით, ამერიკის საელჩომ განახორციელა პროექტი, რომელშიც ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ძეგლამდე მისასვლელი ტრანსპორტი არ არის, მის მოსახლეობლად ტურისტებისა და ვიზიტორების ნაკადი არ წყდება. ბოლო წლებში მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო რამოდენიმე კვების ობიექტი, საპიკნიკე ზონა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.



[Link - უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი \(heritagesites.ge\)](http://heritagesites.ge)

[Link - უფლისციხე | Georgian Travel Guide](#)

ადგილობრივი კონტაქსტი და მოქალაქეების მიმოხილვა

ზუგდიდში საერთო ჯამში 10 მუზეუმი ფუნქციონირებს, ს.ს.ი.პ. ზუგდიდის, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი და ა.ა.ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის“ დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი მუზეუმების გაერთიანება, სადაც 9 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმი ერთიანდება.

მუზეუმების გაერთიანებაში შემავალი მუზეუმებია:

1. იონა მეუნარგიას სახელობის სახლ-მუზეუმი;
2. სოლომონ ცაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი;
3. ვანიონ დარასელის სახელობის სახლ-მუზეუმი;
4. ალექსანდრე საჯაიას სახელობის სახლ-მუზეუმი;
5. კონდრატე თათარაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი;
6. ზვიად გამსახურდიას ოთახ-მუზეუმი;
7. მედია მუზეუმი;
8. ზურაბ წარმანიას სახელობის ოთახ-მუზეუმი;
9. სპორტის მუზეუმი.

ასევე, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბაზაზე, „მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა“ ფუნქციონირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცულია 96 000 ექსპონატი, რომელიც უნიკალურ ეროვნულ საგანძურს წარმოადგენს. აღნიშნული დასტურდება იმ ფაქტით, რომ გოგლე.ცომ-ის კულტურის მუზეუმმა საკუთარ გვერდზე განათავსა დადიანების სასახლეთა საგანძურის კოლექცია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დადიანების სასახლეთა საცავში დაცული საგანძურის ეროვნულ და მსოფლიო მნიშვნელობას. აქ არის დაცული ნაპოლეონ პირველთან დაკავშირებული ექსპონატები, საქართველოში მოღვაწე, მე-19 საუკუნის გერმანელი მხატვრების ყველაზე დიდი ფერწერისა და გრაფიკის კოლექციები. ასევე სხვა უნიკალური ექსპონატები და ნიმუშები, რომლებიც ადასტურებენ, რომ საქართველოს კავშირი ევროპულ ოჯახთან დგას ძლიერ და დიდი ისტორიის მქონე ფესვებზე.

ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა შეადგენს 57-ს, საიდანაც 42 ქალია და 15 მამაკაცი, აქიდან 19 ახალგაზრდაა, ხოლო „მიხეილ მაცი ხორავას სამხატვრო გალერეა“-ში მუშაობს 3 მამაკაცი და 7 ქალი.



განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები


ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივი მუზეუმების პოზიციონირება, როგორც ინტერ-დისციპლინური პრაქტიკის სივრცეები, როგორც შემოქმედებითი ბიზნესის კერები, სექტორთა-შორისი გაცვლის ადგილები და როგორც შემოქმედებითი განათლებისა და ნიჭის განვითარების გარემო.

ისევე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების შემთხვევაში, საჭიროა სამუზეუმო სივრცეების და მათი მატერიალური თუ არამატერიალური პოტენციალის ხელახალი გააზრება. აქ შესაძლებელია შეიქმნას დამატებითი სერვისები საგანმანათლებლო მიმართულებით. მეტი მიმზიდველობისათვის კარგი იქნება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გზით, ვირტუალური ტურების შექმნა, რაც საარქივო მასალებისა და არტეფაქტების პოპულარიზაციასა და ხელმისაწვდომობას გაზრდის, როგორც რიგითი ვიზიტორებისათვის, ასევე სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისათვის.

გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში სამუზეუმო სივრცეში დაცულია ისეთი ტიპის ისტორიული ჩანაწერები თუ არტეფაქტები, რომელიც ადგილობრივი მენარმეებისათვის, გასტრონომიის სფეროს წარმომადგენლებისათვის, რენვის ოსტატებისათვის ან ხელოვანებისათვის, შეიძლება ერთგვარ ინსპირაციად იქცეს საკუთარ საქმიანობასა და შემოქმედებაში, რაც დადებითად აისახება, როგორც ადგილზე შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კუთხით, ასევე გაზრდის პოპულარობას ადგილობრივი ისტორიისა და კულტურის შესახებ. შესაბამისად, ინტერდისციპლინარული მიდგომების დამკვიდრება ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს სამუზეუმო საქმიანობის განვითარების პროცესში. ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელია, უშუალოდ მუზეუმის სივრცეში ან მის ინფრასტრუქტურულ ბაზაზე განხორციელდეს, მასტერკლასები, ვორქშოპები, სემინარები, სასწავლო კურსები, კონფერენციები, მოენწყოს სახელოსნოები, ლაბორატორიები და სხვა.

ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, შეფასდეს და გაუმჯობესდეს არსებული ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

გარდა ამისა, მუზეუმების შემოსავლების გაუმჯობესებისა და მეტად მიმზიდველობისათვის კარგი იქნება ადგილზე სხვა დამატებითი სერვისების შეთავაზება, როგორც არის სუვენირების მაღაზიები, მცირე ზომის კაფეები და სხვა.



საინტერესო / წარმატებული მაგალითები

ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი – საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფილიალია ვანში, რომელიც მდებარეობს ვანის ანტიკური ნაქალაქარის მიდამოებში.

მუზეუმში დაცული მასალა მოიცავს პერიოდს ძვ. წ. VIII საუკუნიდან I საუკუნის ჩათვლით. აქ ინახება ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, ნუმიზმატიკის ნიმუშები და სხვა. საერთო ჯამში მუზეუმ-ნაკრძალში 20 000 ექსპონატია დაცული, მათგან 94-ს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. გარდა ამისა, ვანის ნაქალაქარს (ძვ.წ. VIII-I საუკუნეები) განსაზღვრული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი (02.05.2018).

2007 წლიდან ვანის ანტიკური ნაქალაქარი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში, 2020 წელს დასრულდა მისი სრული რეაბილიტაცია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების დონისაა და უსაფრთხოების დაცვის თანამედროვე სისტემებითაა აღჭურვილი, შედეგადაც ვანის მუზეუმი გახდა საუკეთესო ამიერკავკასიის რეგიონში. მსოფლიოში „ოქრომრავალი კოლხეთი“-ს სახელით ცნობილი გამოფენის ყველა ექსპონანტი მოპოვებულია ვანის ანტიკური ნაქალაქარის გათხრების შედეგად, დიდი ნაწილი დაბრუნდა მუზეუმში.

პირველ სართულზე წარმოდგენილია: დარბაზი 1 - ვანის ქვეყანა; საარკეებიანი დარბაზი - ადრე ანტიკური ხანის დარბაზი; დიდი დარბაზი - ძვ.წ.ალ 5-4-3 სს მეორე ნახევარი, სამარხები.

მუდმივ ექსპოზიციაში თანამედროვე ტექნოლოგიების და ინსტალაციების გამოყენებით წარმოდგენილია ვანის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები, რომლებიც „ოქრომრავალი კოლხეთის“ რეალობის ნათელი დასტურია. ამასთანავე, დამთვალიერებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს მათი დამზადების ტექნოლოგიის ამსახველ მასალას და ძველი კოლხების ცოდნას, ოქროს მოპოვებისა და დამუშავების შესახებ.

ვანის მუზეუმში მუდმივმოქმედ ექსპოზიციასთან ერთად მოწყობილია დროებითი საგამოფენო სივრცეც. თანამედროვე ინფრასტრუქტურამ შექმნა ფონდების მოწყობის შესაძლებლობა უახლესი სტანდარტების დაცვით, ასევე მოეწყო სამეცნიერო ლაბორატორიები, აუდიტორია (სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები სამუზეუმო კოლექციების თემატიკაზე), ბიბლიოთეკა-მედიათეკა და საზოგადოებრივი სივრცეები (კაფე, მუზეუმის მაღაზია, ღია ვერანდები).





აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით ვანის საგანძური გამოიფინა მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში: ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანება (გერმანია), აზიური ხელოვნების მუზეუმი ნიცაში (საფრანგეთი), არტურ მ. საკლერის გალერეა სმიტსონიანის ინსტიტუტი (ვაშინგტონი, აშშ), ნიუ-იორკის ძველი სამყაროს კვლევის ინსტიტუტი (აშშ), ჰიუსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმი (აშშ), ფიტცუილიამის მუზეუმი (დიდი ბრიტანეთი), ბენაკის მუზეუმი (საბერძნეთი), პოლ გეტის მუზეუმი (აშშ), ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის კულტურების მუზეუმი (შვედეთი), სევილიის არქეოლოგიის მუზეუმი (ესპანეთი), რომის საიმპერატორო ფორუმების მუზეუმი (იტალია) და სხვა.

ამ გამოფენებზე წარმოდგენილმა, ვანის უნიკალურმა აღმოჩენებმა ყველასთვის ცხადყო კოლხეთის სამეფოს რეალობა და ის თუ რატომ იხსენიებენ მას ანტიკური ეპოქის მწერლები ოქროთი მდიდარი ქალაქ-სახელმწიფოების - მიკენის, ბაბილონისა და სარდისის მსგავსად ეპითეტით „ოქრომრავალი“.

განახლებული მუზეუმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ჩვენი ქვეყნის და კულტურის იდენტობისა და თვითშეგნების საქმეში, ასევე რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის 6 მაისს ბარსელონაში EMYA-ის 2023 წლის დაჯილდოების ცერემონიაზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურმა მუზეუმმა სილეტოს პრიზი მიიღო.

მუზეუმმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა როგორც გამორჩეულმა ცენტრმა, რომელსაც საზოგადოების საკეთილდღეოდ დადებითი ცვლილებების განხორციელების განსაკუთრებული პოტენციალი აქვს.

სილეტოს ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა ევროპის საუკეთესო მუზეუმს საზოგადოების საკეთილდღეოდ ჩატარებული საქმიანობისა და საზოგადოების სამუზეუმო ცხოვრებაში განსაკუთრებული ჩართულობისთვის. სილეტოს გარდამავალი ჯილდო გამარჯვებულ მუზეუმს ერთი წლით გადაეცემა

[Link - საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ვანის არქეოლოგიური მუზეუმი-ნაპრაძი - Georgianmuseums.ge](https://Georgianmuseums.ge)

[Link - ვანის არქეოლოგიური მუზეუმი | Georgian Travel Guide](#)

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი - ხელოვნების სასახლე ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი სიძველეთსაცავია. მუზეუმი განთავსებულია დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაში. შენობის ავტორია იმ პერიოდის ცნობილი არქიტექტორი პოლ ფრიდრიხის ძე შტერნი. ნაგებობა ისლამური გოთიკის საუკეთესო ნიმუშია. სამსართულიანი კომპი, მაღალი ქონგურები, ლამაზად გაფორმებული კარნიზები, ღია ტერასა და ციცაბოდ აზიდული სახურავი შენობას უჩვეულო, თბილისისათვის ნაკლებად დამახასიათებელ სილუეტს აძლევს.

სამუზეუმო ექსპონატები ანტიკური პერიოდიდან იწყება. ეს გახლავთ ქალაქ ვანში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ანტიკური ნიღაბი. ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი, სადაც დაცულია ქართველი გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების პირადი არქივები; ხელნაწერი პიესები, შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანის ვარიაციები, მუზეუმის წიგნთსაცავში ინახება XVII-XIX საუკუნეების რარიტეტული გამოცემები. აქ არის დაცული გრამფირფიტები, აფრესები, თეატრალური და კინო კოსტიუმები. ფოტო და ფოტონეგატივების ფონდში კინოფილმების „ჯიმ შვანთე!“, „მამლუქი“, „გიორგი სააკაძე“ და სხვათა უნიკალური მასალები.

უმდიდრესია სახვითი ხელოვნების ფონდი. აქ იხილავთ: XVI-XVII საუკუნეების სპარსულ მინიატურებს, XVIII საუკუნის ფრანგულ გრაფიურებს, ძველი თბილისური მხატვრობის საუკეთესო ნამუშევრებს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლევ ბაქსტის, ალექსანდრე ბენუას, ფერნანდ ლეჟეს, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, პეტრე ოცხელის, ირაკლი ფარჯიანის ფერწერული ტილოები და გრაფიკული ნამუშევრები.

სასახლე, სკოლის მოსწავლეებისათვის ახორციელებს 12 სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. ესენია: პატარების თვალთ დახატული ექსპონატები; მხატვრის როლი თეატრსა და კინოში; ბარათებით მილოცვის ტრადიცია ცოცხლდება; „ქართული ანიმაცია-ცოცხალი ფერების საიდუმლო“; ბერიკა ხელოვნების სასახლიდან; აღდგომის დღესასწაული; ქართული მინიატურა; ინდიელთა ჯადოსნურ ტომები; ქართული ანბანის საიდუმლო; კუკები - ქართული თოჯინის ისტორია; რუკაზე ასახული საქართველო; ახალი წლის ტრადიციები.

გარდა საგანმანათლებლო პროექტებისა, სასახლე აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით და ახორციელებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებს, გარდა ამისა თანამშრომლობს და წაარმოდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმაზე. სასახლე ორიენტურებულია, როგორც არსებული რესურსის პოპულარიზაციაზე და ხელმისაწვდომობაზე, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და შესაბამისი სერვისების შექმნაზე.

2022 წელს სულ ჩატარდა 14 გამოფენა, დამთვალიერებლთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 120 000-ს, განხორციელდა 15 საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა 31 360 ბავშვმა მიიღო.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი (ილიას სახლი — ევროპული საქართველოს მეტაფორა) - მისი დათვალიერების შემდეგ ყველა რწმუნდება იმაში, რომ ეს სივრცე მუზეუმზე მეტია. ის, ერთი მხრივ, ინარჩუნებს უნიკალურ ისტორიას და მეორე მხრივ, ამ ისტორიის ფონზე წარმოაჩენს უმთავრეს კონცეფციას — ესაა სახლი-სიმბოლო იმისა, თუ როგორია (როგორი უნდა იყოს) ქვეყნის მოწყობის ევროპული მოდელი.

ეს ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი მისივე დიდი მასპინძლის — ილია ჭავჭავაძის სიმბოლოცაა. ილიაც ხომ, არც მხოლოდ მწერალი იყო, არც მხოლოდ საზოგადო მოღვაწე, არც მხოლოდ მეცნიერი, პოლიტიკოსი, ბანკირი თუ მოსამართლე. მისი ძალა ამ ყველაფრის ერთობლიობაში იყო, ეს ძალა აქცია მან იდეად და ეს იდეა დღესაც ისეთივე ამაღელვებელია, როგორც ორი საუკუნის წინ.

ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილის, იონა მეუნარგიას, ეკატერინე გაბაშვილის, გიორგი ჟურულიას და სხვა თანამედროვეთა მოგონებების მიხედვითაა აღდგენილი, ილიას იდეალებს ამ მხრივაც ირეკლავს.

ამ სახლის ყოველი სივრცე დიდი კონტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილია — მემორიალური თუ ავთენტური ოთახები, ნივთები, ვირტუალური თუ ციფრული გზამკვლევები. გულს აგიფორიაქებთ სასადილო ოთახში სტუმრობა — მუდმივად გაშლილი სუფრა და ილიას საყვარელი ხალხური სიმღერების ჰანგები; თავად ამ ოთახის გადარჩენა ერთი თავგადასავალია. ეს საშვილიშვილო საქმე გარკვეული პერიოდის მანძილზე ამ სახლში მცხოვრები ქალბატონის — ნიცა ახვლედიანის და მისი მემკვიდრეების დამსახურებაა. ისინი რუდუნებით იცავდნენ და უვლიდნენ ოთახის ყველა კუნჭულს, წლების მანძილზე კედლებზე ქაღალდები ჰქონდათ აკრული, რათა უხარვეზოდ შეენარჩუნებინათ უნიკალური შპალერი, თავის დროზე ევროპული შპალერის მაღაზიიდან გამოწერილი...

დღეს ეს სახლი თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების მნიშვნელოვანი ნაწილია. 2016 წლიდან მიმდინარეობდა არქიტექტურული ნაგებობების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროცესი. დღეისათვის მუზეუმი სრულად მოდერნიზებულია.

ილიას სახლი, კვლავ მიზიდულობის ცენტრია თბილისში: აქ წარსული არამხოლოდ დამახსოვრებული და დაცულია, არამედ — ცოცხალი და განახლებული. ზუსტად იმ იდეალებით და პრინციპებით, როგორითაც ამ სახლის თავდაპირველი მასპინძლები ცხოვრობდნენ და ემსახურებოდნენ ქვეყანასაც და მთელ კაცობრიობასაც.

აღსანიშნავია, რომ EMYA 2023-ის ჟიურის მხრიდან ევროპის ექვსმა მუზეუმმა სპეციალური ჯილდოები მოიპოვა. დიდ ბრიტანეთთან, ნიდერლანდებთან, ავსტრიასთან, ბელგიასთან და შვეიცარიასთან ერთად, განსაკუთრებული აღიარება თბილისში მდებარე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმმაც დაიმსახურა, რომელსაც „სპეციალური აღნიშვნის პრიზი“ გადაეცა.

„აღნიშნული მუზეუმი თანამედროვე საქართველოს ევროპული მისწრაფებების კონტექსტში მნიშვნელოვანია. შენობა მკაფიოდ გამოხატავს, რომ ქვეყნის გასაბჭოებამდე, საქართველო ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო“, - ნათქვამია ევროპის მუზეუმების ფორუმის მიერ გავრცელებულ ვიდეორგოლში.

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი დაარსდა 1887 წელს და ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში არსებულ მცირერიცხოვან აბრეშუმის მუზეუმებს შორის. მუზეუმის დაარსების ისტორია უკავშირდება კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს, რომელიც სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი იყო მთელი კავკასიის მასშტაბით. 2006 წელს შენობას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მუზეუმში დაცულია 40 000-მდე ექსპონატი 50 ქვეყნიდან.

აბრეშუმის მუზეუმი ისტორიისა და არსებული ცოდნის გაზიარებით თანამედროვე საგამოფენო და საგანმანათლებლო მიმართულებებს მულტიდისციპლინარული პროექტების მეშვეობით ავითარებს. მუზეუმის პლატფორმაზე 2016 წელს განხორციელდა ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროექტი „შეინარჩუნე ელვარება“, რომელიც გახდა მუზეუმში საქსოვი სტუდიის ამოქმედების წინაპირობა. 2016 წლიდან დღემდე მუზეუმში სტაბილურად მიმდინარეობს ქსოვის ვორკშოპები, რაც ზრდასრულებს საშუალებას აძლევს, ორდღიანი ინტენსიური კურსის განმავლობაში ინსტრუქტორის დახმარებით, შეისწავლონ მექანიკურ დაზგაზე მოქსოვის პრინციპები და შექმნან საკუთარი ნამუშევარი. აღნიშნული ნიმუში პროგრამის მონაწილეებს თან მიაქვთ როგორც სამახსოვრო სუვენირი მუზეუმისგან. ამგვარი აქტივობა საზოგადოების მაღალ ინტერესს იწვევს, მათ შორის სკოლის მოსწავლეებშიც, მათ შესაძლებლობა ეძლევათ დააკვირდნენ ქსოვის პროცესს, წარმოდგენა შეექმნათ ქსოვილის ბოჭკოს ტიპებზე და მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად ქსოვილის წარმოების პრაქტიკას ეზიარონ.



[Link - აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი \(silmuseum.ge\)](http://silmuseum.ge)


ადგილობრივი კონტექსტი და მოკლე მიმოხილვა

ზუგდიდში ფუნქციონირებს 2 თეატრი, ს.ს.ი.პ. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი და ა.ა.ი.პ. „კულტურის განვითარების ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში მყოფი „ჩხორიის სამოყვარულო თეატრი“.

ამჟამად მიმდინარეობს შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია, რომელიც 2024 დასრულდება. მიუხედავად შენობის რეაბილიტაციისა თეატრის დასი აქტიურად აგრძელებს საქმიანობას და მაყურებელს ახალ სპექტაკლებს სთავაზობს, 2022-2023 წლებში 10 პრემიერა გაიმართა. თეატრი ამჟამად ზუგდიდის ცენტრში, რაიონის ყოფილი კულტურის სახლის შენობაში მოღვაწეობს, აქ დასაქმებულია 54 ადამიანი, მათ შორის 27 ქალი, 25 მამაკაცი, საიდანაც 2 იძულებით გადაადგილებული პირია.

ა.ა.ი.პ. „კულტურის განვითარების ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში მყოფი „ჩხორიის სამოყვარულო თეატრი“-ს დარბაზი საჭიროებს რემონს. 2022-2023 წლებში თეატრმა გამართა 5 წარმოდგენა, აქედან 3 პრემიერა. სულ დასაქმებულია 12 ადამიანი, მათ შორის 6 ქალი და 6 მამაკაცი.

რაც შეეხება კინოს, ქალაქის ერთადერთი კინოთეატრის „ატრიუმი“ შენობა 2005-2006 წლებში, კერძო საკუთრებაში გადაიწა. 2015 წლამდე ის ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა, თუმცა მაყურებელთა სიმცირის გამო, 2012 წელს 300 ადამიანზე გათვლილი დარბაზი 150 ადგილამდე შემცირდა. შემცირდა კინორევენუების რაოდენობაც, რომლის უზრუნველყოფაზე ადგილობრივი ახალგაზრდები ზრუნავდნენ. 2015 წელს კი კინოთეატრი „ატრიუმი“, მეპატრონეების გადაწყვეტილებით დაიხურა და მის ნაცვლად სლოტკლუბი გაიხსნა. ადგილობრივი კულტურული დაწესებულებები, პერიოდულად ცდილობენ თავიანთ სივრცეებში განახორციელონ კინორევენუები და ამოავსონ სიცარიელე, რომელსაც ეს დარგი განიცდის ზუგდიდში. თუმცა მიუხედავად ცალკეული მცდელობებისა ვერ ხდება კონორევენუების სისტემატიზაცია და მოსახლეობის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.



განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

როგორც უკვე აღინიშნა, ს.ს.ი.პ. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. რაც პოტენციურად იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს თეატრის შენობის დამატებითი ფუნქციები და სერვისების მრავალფეროვნება.

ახალ თეატრს ექნება ევროპული სტანდარტების ორი დარბაზი. დიდი დარბაზი გათვლილია 370-ზე, მცირე დარბაზი კი 130 მაყურებელზე. თეატრს ექნება სახელოსნო, საგრიმირო, სამკერვალო, საკონფერენციო დარბაზი, კაფე, სამხატვრო გალერეა, ასევე განთავსდება სასტუმრო, რომელიც გათვალისწინებულია გასტროლებზე ჩამოსული სტუმრებისთვის. დამონტაჟდება განათების, გახმოვანების უახლესი აპარატურა. ასევე თეატრის შენობა ადაპტირებული იქნება შშმ მაყურებლისათვის.

თეატრის შენობის სარეაბილიტაციო პროექტი, კონცეპტუალურად, სრულად პასუხობს რე-კონცეფციის პრინციპებსა და მიდგომებს, რაც თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს კულტურული დანესებულებების ახლებურად გააზრებასა და თანამედროვე საჭიროებებზე მორგების აუცილებლობის ტენდენციას. როგორც პოპულარობისა და მიმზიდველობის გაზრდით, ასევე, ეკონომიკური თვითმყოფადობისა და განვითარების ახლებური მექანიზმის დანერგვის გზით.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს რეგიონული თეატრების ქსელის მიერ „შემოქმედებითი საქართველოს“ მხარდაჭერით შეიქმნა ონლაინ პლატფორმა „რეგიონული თეატრების გზამკვლევი 2020“, რომელიც ერთ ინტერნეტ პორტალზე www.theatrelife.ge აერთიანებს საქართველოს ყველა პროფესიულ სახელმწიფო რეგიონულ თეატრს. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია, საქართველოს ყველა რეგიონულ თეატრზე, შემდეგი ინფორმაცია: თეატრების მოკლე ისტორია, ინფორმაცია სათეატრო შენობებისა და რეპერტუარის, დარბაზებისა და სცენების პარამეტრებისა და თეატრების ტექნიკური შესაძლებლობების (განათება-გახმოვანების რესურსების), დარბაზებში მაყურებელთა ადგილების რაოდენობის შესახებ და სხვა.

ზემოაღნიშნული პორტალი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თეატრის მართვის ახლებური მექანიზმი, მენეჯმენტის გაუმჯობესებისა და პოპულარიზაციის შესაძლებლობა. რაც თავის მხრივ, მცირე თუმცა ეფექტურად წინ გადადგმული ნაბიჯია.



საინტერესო / წარმატებული მაგალითები

მაგალითი 1

კლუბი და თეატრი „ბრავო“ მდებარეობს ქ. რუსთავში და წარმოადგენს შემოქმედებით ცენტრს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისთვის ხელოვნების ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას ისახავს მიზნად, როგორებიცაა ქორეოგრაფია და ვიზუალური საშემსრულებლო ხელოვნების ტრენინგები ახალგაზრდებისთვის (5-13 წელი). ცენტრი კულტურის სფეროს უკვე შემდგარ და დამწყებ პროფესიონალებს საპრეზენტაციო სივრცეებსაც შესთავაზებს. 2022 წლის პროგრამა მოიცავს მუსიკალურ განათლებასაც: ვოკალურ და ინსტრუმენტულ ტრენინგს, მუსიკალურ ინჟინერიას, ხმის ჩანერას და ა.შ. პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამომავლო კომპონენტია 300 ვიზიტორზე გათვლილი დარბაზი.

[Link - \(1\) Bravo Art Academy | Rustavi | Facebook](#)

მაგალითი 2

თეატრი (Teatre) - მე-20 საუკუნის დასაწყისის თბილისში იყო ადგილები, სადაც ხატავდნენ, მღეროდნენ, შოუს დგამდნენ, „მფრინავ კონცერტებს“ აწყობდნენ, სალონურ საღამოებს მართავდნენ... იკრიბებოდნენ „ქიმერიონში“, მაიკო ორბელიანისა და ჭავჭავაძეების სალონებში, თუმანიშვილების საოჯახო თეატრში, კაფე-კლუბ „ფანტასტიკურ სამიკიტნოში“, ბოჭემური ტიპის სტუდია „არგონავტების ნავში“ ... ჰოდა, წინა საუკუნის დასაწყისში აღზევებული და შემდეგ რალაცნაირად დაკარგული მიმართულება ერთი საუკუნის შემდეგ გაცოცხლდა - თბილისს ახალი თეატრი შეემატა - Dinner Theatre.

ეს არის სრულიად ახალი კონცეფცია საქართველოში: “წარმოდგენა ვახშმით” ანუ “show and dinner”. თეატრი არის ადგილი კულტურული ღონისძიებით ტკობისთვის, გემრიელი კერძების დაგემოვნებისთვისა და ბოჭემური გართობისთვის.

სივრცე მოიცავს 1 დიდ დარბაზს, რომელიც 450-მდე სტუმარზეა გათვლილი. დიზაინის ნაწილია იტალიური სტილის სცენა, წითელი ფარდით. აქ იმართება როგორც სხვადასხვა შოუ, ისე დახურული წვეულებები. სივრცე სრულად არის აღჭურვილი ტექნიკური ინვენტარით: განათებისა და ხმის სისტემით, მუსიკალური ინსტრუმენტებით და ა.შ.

სივრცე მასპინძლობს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: მიუზიკლი და თეატრალური წარმოდგენები; კულტურული პროგრამა; კლასიკური პროგრამა; კონცერტი; კორპორატიული წვეულებები; კერძო წვეულებები და დღესასწაულები.

თეატრის დასი დაკომპლექტებულია როგორც მონვეული მსახიობებისგან, ისე მხარს უჭერს ახალგაზრდა მსახიობებს და თეატრალურის სტუდენტებს, მიიღონ გამოცდილება და მონაწილეობა ყველასთვის ცნობილ მიუზიკლებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სერვისი თეატრის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რაც შოუსთან და გასტრონომიასთან ერთად, სავახშმო თეატრის ნაწილია. სინქრონში, ერთდროულად ხდება სტუმრების გამასპინძლება სამ ქორსად. ყოველ შოუზე 50-ე მზარეული ქმნის ინდივიდუალურად კერძებს სტუმრებისთვის.

თეატრი 2022 წლის ბოლოს გაიხსნა და 5 თვის განმავლობაში უმასპინძლა 10 000-მდე ადამიანს.

[Link - თეატრი • Theatre | Tbilisi | Facebook](#)

სსიპ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი დღეისათვის სრულად ჩართულია საერთაშორისო კულტურულ პროექტებში და შესაბამისად აქტიურ შემოქმედებით ურთიერთობებს ამყარებს საერთაშორისო კულტურულ ინსტიტუციებთან. მოენყო ლონდონის თოჯინურ თეატრებსა და მარკეტინგის შემსწავლ სხვადასხვა შემოქმედებით ორგანიზაციებთან სახელოვნობო მიმოხილვითი ვორქშოფები და კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსების ხელშეწყობის პროგრამები.

ს.ს.ი.პ. ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი შეიძლება ითქვას, რომ დღეს არის განვითარების მაღალ საფეხურზე, ისე როგორც არ ყოფილა არასდროს მისი არსებობის პერიოდში, რაც გამოიხატება ყველა გადადგმულ ნაბიჯში, რომელიც ბოლო პერიოდში განხორციელდა თეატრში.

პერიოდულად ხორციელდება თეატრის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და ხელოვნების გადამზადება, როგორც ადგილზე ასევე საზღვარგარეთ, კერძოდ მეთოჯინეებისა და დეკორატორების გადამზადება მოხდა დიდ ბრიტანეთში, რის საფუძველზეც თეატრში იდგმება ბროდვეის თეატრში დადგმული სპექტაკლების მსგავსი პატარა სპექტაკლები.

თეატრის შემოსავალზეც შეიმჩნევა ის ფაქტი, რომ თეატრი იბრუნებს დაკარგულ მაყურებელს. ამ ყველაფერს კი, თანამედროვე მიდგომების გამოყენების საშუალებით ახერხებს. გარდა იმისა, რომ განახლდა დასის შემადგენლობა, თეატრში უამრავი ახალი პროექტი განხორციელდა, როგორც შემოქმედებითი ასევე მარკეტინგულად მომგებიანი პროექტების კუთხით: მოენყო კაფე-რესტორანი; დამონტაჟდა იატაკის სენსორული მონიტორი; პატარა მაყურებლის მოზიდვის მიზნით გაკეთდა დიდი მუზეუმი, სადაც განთავსებულია სპექტაკლების დეკორაციები, კოსტიუმები და თოჯინები, მუზეუმის დათვალიერება კი, არც მეტი, არც ნაკლები, შესაძლებელია პატარა, საბავშვო 14 ადგილიანი მატარებელით, რომლითაც პატარები მოგზაურობენ საგამოფენო სივრცეში და ეცნობიან თეატრის ისტორიასა და მნიშვნელობას; შეიქმნა საბავშვო თეატრალური სტუდია, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან სამსახიობო ოსტატობასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს; გარდა ამისა, თეატრში ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით, ხშირად ცხადდება კონკურსები მხატვრობაში და რეჟისურაში.

[Link - \(2\) ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი | Batumi | Facebook](#)



9. კულტურის ცენტრი / სახლი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“. ცენტრი აქტიურად ეწევა კულტურულ, შემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობას. ცენტრის დაქვემდებარებაში, როგორც უკვე აღინიშნა, არის „ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების გაერთიანება“, „ჩხორიის სამოყვარულო თეატრი“ და მიხეილ (მაცი) ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს გააჩნია სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული რესურსი: 500 მაყურებელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი და სცენა რომელიც არჭურვილია თანამედროვე განათებით. ასევე, საკონცერტო დარბაზის ფოიე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოფენებისათვის და პრეზენტაციებისათვის, ჩხორიის სამოყვარულო თეატრის დარბაზი, გარდა ამისა ტყაიის კულტურის სახლი თავისი ინფრასტრუქტურით, რომლის რეაბილიტაციის შეთხვევაშიც შესაძლებელია, დამატებით გაიხსნას სხვადასხვა წრეები.

ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში დასაქმებულია 176 ადამიანი. მათ შორის 78 ქალი და 98 მამაკაცი. ამასთან, დოკუმენტის შემუშავების ფარგლებში განხორციელებული სამაგიდო კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დასაქმებულთა 11.37 % ახალგაზრდაა და 14.2 % იძულებით გადაადგილებული პირი, ხოლო დასაქმებულ შშმ პირთა რაოდენობა 0.57 %-ს შეადგენს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ასევე „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“ ფუნქციონირებს, რომელიც წარმოადგენს სკოლის-გარეშე, მრავალპროფილიან, სააღმზრდელო - საგანმანათლებლო დაწესებულებას და ეხმარება მოზარდებს თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების, ტექნიკის, საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას. უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას. აქ ფუნქციონირებს ხალხურ საკრავთა ანსამბლი, ვოკალურ - ინსტრუმენტული ანსამბლი, გიტარის, კლასიკური და საესტრადო მუსიკის შემსწავლელი ჯგუფი, საყმაწვილო თეატრი, სამეჯლისო - სპორტული და თანამედროვე ცეკვების სტუდია, დრამატული სტუდია, არტ-შემოქმედებითი მიმართულება, ისწავლება ქართული ფოლკლორი, ქართული-ხალხური ქორეოგრაფია.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში 79 პირია დასაქმებული, საიდანაც 52 ქალია და 27 მამაკაცი. ამასთან 27.85 % ახალგაზრდა, 7.6 % იძულებით გადაადგილებული და 1.26 % შშმ პირი.

ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, დოკუმენტის “შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა” (იხ. ბმული - შემოქმედებითი კლასტერებისა და სივრცეების კვლევა. პდფ - Google Drive) შემუშავების პროცესში დამატებით იდენტიფიცირდა ყოფილი კულტურის სახლის შენობა ნარაზენში, აქ ხორციელდება სხვადასხვა კულტურული/შემოქმედებითი აქტივობები. ასევე, ახალკახათის ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა, რომელშიც ადგილობრივი შემოქმედებითი, სულისკვეთებით გამსჭვალული, ცალკეული პირების წყალობით, ჯერ კიდევ ცოცხლობს კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრება. ზემოაღნიშნულ, კულტურულ ობიექტებზე მომუშავე პირებს უკვე აქვთ კულტურული და შემოქმედებითი მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების გამოცდილება, რაც პოტენციურად შესძლებელია განხილულ იქნას, როგორც ობიექტების მულტიფუნქციური დატვირთვის მცდელობა, ფაქტიურად არარსებულ პირობებში.




განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

ულტურის ცენტრებსა და სახლებს, თავიანთი ინფრასტრუქტურული და ორგანიზაციული თავდაპირველი დანიშნულებით მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ რე-კონცეფციის თვალსაზრისით. ვინაიდან, თვისობრივად ყველაზე მულტიფუნქციურ კულტურულ-შემოქმედებით დაწესებულებებს წარმოადგენენ და მათი საქმიანობა ისედაც მრავალფეროვანია. აქ ვხვდებით, დარბაზებს, ჰოლებს, შეხვედრების ოთახებს, ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ საკმაოდ დიდი ეზოები და სხვა. გარდა ამისა ამგვარ დაწესებულებებში ფუნქციონირებს, სხვადასხვა ტიპის სტუდიები, შემოქმედებითი წრეები, სახელოსნოები, თუმცა არსებული ინფრასტრუქტურის, ადგილობრივი პოტენციალის, შესაძლებლობებისა და რაც მთავარია საჭიროებებისა და თანამედროვე მოთხენილებების გათვალისწინებით შესაძლებელია მეტად მრავალფეროვანი, პროდუქტიულობაზე ორიენტირებული სერვისების განვითარება.

“აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არსებობს მრავალპროფილური შემოქმედებითი სივრცე, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეუქმნის შესაბამის სამუშაო გარემოს, საჭიროების შემთხვევაში მიიღებს რეზიდენტებს და ხელს შეუწყობს სოციალურ სამეწარმეო საქმიანობას. შესაბამისად, ზუგდიდში მსგავსი სივრცის გაჩენა უკიდურესად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს მუნიციპალიტეტში, და ზოგადად რეგიონებში, არსებული ფართომასშტაბიანი ადამიანური რესურსის გადინების ფონზე. დამატებითი მნიშვნელობა ეძლევა მსგავსი სივრცეების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მისი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვის გამო. სივრცე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არა მარტო რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ზოგადად შემოქმედებისათვის, არამედ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირებისთვისაც.” - ნათქვამია **გზამკვლევში “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი სივრცეების განვითარების პერსპექტივები”**.

კულტურის ცენტრებსა და სახლებს შეუძლიათ უმასპინძლონ არამარტო თეატრალურ წარმოდგენებსა და კონცერტებს, არამედ თამამად მოდერნიზდნენ კინოჩვენებისათვის განკუთვნილ როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეებად. ძალიან კარგი რესურსი და შესაძლებლობები გააჩნიათ შემოქმედებითი სახელოსნოების მოწყობის კუთხით სხვადასხვა მიმართულებით, შეუძლიათ უმასპინძლონ ფესტივალებს, კონფერენციებს, გამოფენებს, საზაფხულო სკოლებსა და ბანაკებს. მათი ინფრასტრუქტურა ძალიან კარგ შესაძლებლობას იძლევა სახელოვნებო და შემოქმედებითი რეზიდენციების განვითარების თვალსაზრისითაც, რაც მთლიანობაში საქმიანობის პროცესს დინამიკაში მოიყვანს. აქ შეიძება მოეწყოს კაფე-ბარები, სხვადასხვა თემატური ჰაბები. დაიტვირთოს მრავალფეროვანი ცოდნისა და გამოცდილების სასწავლო პროგრამებით და სხვა. გარდა ამისა აქ შეიძლება მოეწყოს თემატური მუზეუმი, ბიბლიოთეკები და სხვა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო კუთხეები, რომელიც გაზრდის, ადგილზე თვითგანვითარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას.



საინტერესო / წარმატებული მაგალითები

მაგალითი 1

ა.ა.ი.პ. მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრი მუზა თბილისში, კუს ტბის ასახვევში მდებარეობს. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ერთიანი კომპლექსი “მუზა” მოიცავს საგამოფენო, საკონცერტო, საკონფერენციო დარბაზებს და პატარა სასტუმროს. პარკი, ქანდაკებებითა და ლამაზი შადრევნით; ბუნებრივი მწვანე ხალიჩითა და მშვენიერი ფიჭვნარით საუკეთესოა, როგორც მოსასვენებლად, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების ჩასატარებლად. აქვეა კაფე-ბარი სადაც შეგიძლიათ მშვიდ და ლამაზ ატმოსფეროში გაატაროთ თქვენი საღამოები.

ცენტრი მასპინძლობს, ფესტივალებს, თემატურ გამოფენებს, ლექციებს, მასტერკლასებს, კონცერტებს, ტრენინგ-სემინარებს. გარე და შიდა სივრცეები იჯარითაც გაიცემა სადაც ეწყობა საზეიმო ბანკეტები, ქორწილები, ფურშეტები.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

https://www.facebook.com/people/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%90/100068938533550/?locale=ka_GE

მაგალითი 2

თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი (CCA-Tbilisi) დამოუკიდებელი არაკომერციული ორგანიზაციაა. ცენტრის უმთავრესი მიზანია საქართველოში და ასევე კავკასიის რეგიონში თანამედროვე ხელოვნების განვითარების მხარდაჭერა. თანამედროვე ხელოვნების ცენტრი მუშაობს ქართველი და საერთაშორისო არტისტების მიერ შექმნილი უახლესი ვიზუალური კულტურის კონტექსტუალიზაციასა და ეფექტური წარდგენის ფორმებზე ადგილობრივი დასაერთაშორისო აუდიტორიის წინაშე.

ცენტრი მუშაობს როგორც კულტურის ჰაბი საქართველოში და კავკასიის პირველ „ხელოვნებისა და ინოვაციების ცენტრს“ ქმნის, რომელიც უკავშირდება და თანამშრომლობს მსგავს ორგანიზაციებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ცენტრში ხდება თანამედროვე ვიზუალური კულტურის კვლევის ხელშეწყობა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ.

ცენტრში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა თანამედროვე ხელოვნების, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესახებ, მისი წიგნადი ფონდი დაახლოებით 2,000 წიგნისგან შედგება. ის საჯაროა და მისით სარგებლობა უფასოა.

ცენტრს აქვს ოთხი ძირითადი საქმიანობის სფერო: საინტერესო, ინოვაციური ნამუშევრებით პროფესიონალური გამოფენების მოწყობა; მოტივირებული ხელოვნების სტუდენტების განათლება; ქართული ხელოვნების კვლევების განხორციელება; გაცვლითი პროგრამების და შესაძლებლობების გაჩენა ხელოვნებისა და კურატორებისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. ცენტრი არის თბილისის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

Link - <https://www.facebook.com/CCA.Tbilisi/v>




ადგილობრივი კონტაქსტი და მოქლე მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ბიბლიოთეკების მართვის ცენტრ-ში, დასაქმებულია 93 ადამიანი, საიდანაც 87 ქალია, მამაკაცთა რაოდენობა კი 6-ს შეადგენ. დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 7.5 %-ს ახალგაზრდები შეადგენენ, 9.67 %-ს კი იძულებით გადაადგილებული პირები

განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი, ერთ-ერთი გამორჩეული და აქტიური ორგანიზაციაა ზუგდიდში. აქ უკვე ვხვდებით განათლებისა და შეხვედრებისათვის თანამედროვე სივრცეებს, სადაც ვიზიტორებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ეძლევათ შესაძლებლობა არამარტო გაეცნონ ლიტერატურას, არამედ შეიკრიბონ, განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხები, და მიიღონ არაფორმალური განათლება. როგორც უკვე აღინიშნა ბიბლიოთეკაში უკვე ფუნქციონირებს მულტიფუნქციური სივრცე ამერიკული კუთხის სახით, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით.

საბიბლიოთეკო და საარქივო საქმიანობის მიმზიდველობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა ხორციელდება ციფრული ტექნოლოგიების დანერვისა და გამოყენების გზით, რაც მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორც სამეცნიორო წრეების წარმომადგენლებისათვის, ასევე რიგითი ვიზიტორებისათვის. თანამედროვე ცხოვრებისეული რითმის ფეხდაფეხ უნდა მოხდეს არსებული მასალების გაციფრულება და თემატურაად დახარისხება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში წიგნად ფონდში შეიძლება წავანყდეთ უნიკალურ გამოცემასა ან ნაშრომს, მნიშვნელოვან მიმონერასა ან ჩანაწერებს. რაც ადგილზე, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების თვალსაზრისით საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს, საუბარია ისეთი ტიპის ჩანაწერებზე, რომელიც ინახავს ადგილობრივი კულტურული ღირებულების მქონე ტრადიციებს, მითებს, ლეგენდებს, ავთენტური ან/და მოდერნიზირებული კერძების რეცეპტებს და სხვა.



ბიბლიოთეკაში შეიძლება დამატებით შეიქმნას ისეთი სივრცეები, როგორიც არის საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზი, სამეცნიერო ტიპის ლაბორატორია, ხელნაკეთი წიგნების სახელოსნო, საგანმანათლებლო სივრცე, კომპიუტერული სივრცე და სხვა. გარდა ამისა, უმასპინძლოს სხვადასხვა ტიპის კულტურულ და შემოქმედებით კონფერენციებსა ან/და სხვა ღონისძიებას. მათ სივრცეებში შესაძლებელია ლიტერატურული ან სამეცნიერო კაფეს მოწყობა, რომელიც საგანმანათლებლო და შემოქმედებით საქმიანობას მოსასვენებელ სივრცესთან გააერთიანებს, რაც არამხოლოდ მომგებიანი იქნება ფინანსურად, არამედ მეტად მიმზიდველს გახდის საბიბლიოთეკო სივრცეს მთლიანობაში, სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანებისათვის. აქვე შესაძლებელია განთავსდეს საინფორმაციო სტენდები ადგილობრივი კულტურული მარშრუტების შესახებ, მოეწყოს სუვენირების კუთხე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გარდა ამისა, ზუგდიდში 2022 წლის ოქტომბერში, მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაიწყო ზვიად გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის, მუზეუმისა და ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა. შენობის კონცეფცია გულისხმობს ისეთი მულტიფუნქციური სივრცის შექმნას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, შეუქმნის განვითარების, საკუთარი იდეების დამუშავების, მათი წარდგენისა და სიახლეების დანერგვის მეტ საშუალებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში მოეწყობა სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის არქივი, მუდმივი და დროებითი საგამოფენო სივრცე, საინფორმაციო ცენტრი ტურისტებისთვის, სივრცე ინტერაქტიული სწავლებისთვის, კაფე და ვერანდა, რომელსაც ხედი დადიანების სასახლისკენ ექნება. აღნიშნული სივრცის არსებობა, თავისი მრავალფეროვანი ფუნქციებიდან გამომდინარე დამატებით შესაძლებლობებს შეუქმნის შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის წარმომადგენლებსა და მენარმეებს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს, როგორც მათი უნარ-ჩვევების გაძლიერების თვალსაზრისით, ასევე საკუთარი თავისა და წარმოებული პროდუქციის/პროდუქტის რეალიზების კუთხით.




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკამ საქმიანობის კუთხით 2012 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა: გამომცემლობებისა და კერძო ბიზნესის შემოწირულობით, ასევე სახელმწიფოს დახმარებით, წიგნებით და კომპიუტერებით მომარაგდა 1500-ზე მეტი ქართული სოფლის და სოფლის სკოლების ბიბლიოთეკა, აღდგა 200 სოფლის ბიბლიოთეკა, წიგნით შეივსო მათ შორის მაღალმთიანი სოფლების, ოკუპაციის გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლების და ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეებით დასახლებული სოფლების ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკის ბაზაზე 2014 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკა გაიხსნება. პროექტი ეროვნული ბიბლიოთეკისა და ღვინის კლუბის ინიციატივით ხორციელდება. ვაზისა და ღვინის ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილია თანამედროვე სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია ქართული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, ჰოლანდიური წიგნები, ატლასები, გზამკვლევები პელოგრაფიაზე, ჰავაზე, ნიადაგზე. ასევე დარბაზში მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ვაზისა და ღვინის შესახებ ელექტრონული ბიბლიოთეკით. ელექტრონულ ბაზაში შესულია ენციკლოპედია ქართველ მეღვინეებზე. დარბაზში ასევე განთავსებულია ჟურნალები და გაზეთები ღვინის თემაზე.

2015 წელს გაიხსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის რესტავრაცია-აკონსერვაციის განახლებული და ახლადდაჭურვილი ლაბორატორია. 2017 წელს - წიგნის მუზეუმი რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსშია განთავსებული. მუზეუმში წარმოდგენილია როგორც მუდმივმოქმედი ექსპოზიციები, ისე დროებითი გამოფენები. ამავე წელს გაიხსნა ეროვნული ბიბლიოთეკის განახლებული კორპუსი, სადაც განთავსებულია გამორცეული მწერლების საარქივო კაბინეტები. 2018 წელს კი კერძო ბიზნესის დაფინანსებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ვაჟა-ფშაველას დარბაზი და განახლებული რეგისტრატურა.

დღემდე გრძელდება ბიბლიოთეკების მოწყობა, რომელიც წიგნის ბუდეების კონცეფციით კეთდება და ყველა ქალაქში მისი შესაბამისი მახასიათებელი გააჩნია. ამ პროექტის ფარგლებში 2019 წელს, ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში მოწყობილ „ბიბლიოთეკას“ მეგრული ოდის ფორმა აქვს. აქ სხვადასხვა ჟანრისა და ყველა ასაკის მკითხველისთვის საინტერესო წიგნებია მოთავსებული. „ოდა ბიბლიოთეკით“ სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. 2019 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების რეგისტრაციის ცენტრი გაიხსნა, რომლის იატაკზე იშხნის მონასტრის იატაკის ულამაზესი ასლი განთავსდა, თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ოთახები. 2021 წელს გაიხსნა რეზო გაბრიადის სახელობის კინო-ბიბლიოთეკა. 2022 წელს კი პირველად საქართველოში, გაიხსნა პრესის მუზეუმი.

ასევე ბოლო წლებში ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა დედა ენის დარბაზი, აფხაზური ბიბლიოთეკა, კარცერ-ლუქსი, ქართული ემიგრაციის დარბაზი-სამკითხველო, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველო დარბაზი, რეპრესირებული წიგნის მუზეუმი, ვახტანგ მეექვსის სახელობის თანამშრომელთა სამუშაო ლაბორატორია, ჭაბუა ამირეჯიბის სახელობის კაბინეტი-ექსპოზიცია. შეიქმნა ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელის“ სამუშაო ლაბორატორია, ულტრა-თანედროვე სკანერებით. გაკეთდა უნიკალური საძიებო სისტემა და ციფრული მომსახურება. შეიქმნა წიგნების, პრესის, ნაბეჭდი ერთეულების ელექტრონული ბაზა, ლექსიკონები, ბიბლიოვიკი, ბიბლიოთეკა სკოლას და „ციფრულ ფოტომატიანეს“, რომელიც უნიკალური ფოტოების გაციფრულებასა და რესტავრაციას გულისხმობს.



საქართველოს ეროვნული არქივი (იუსტიციის სამინისტროს სსიპ) - საქართველოში თანამედროვე არქივებს საფუძველი ჩაეყარა 1920 წლის 23 აპრილს. არქივი ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემეცნებითი ტიპის პროექტებს. მათ შორის, საქართველოს ეროვნული არქივის ორგანიზებით 2022 წელს დაარსდა თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება. ფესტივალის მიზანია საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო, სამუზეუმო თუ საბიბლიოთეკო კოლექციებში დაცული საარქივო ფილმების ქართველი მაყურებლისათვის წარდგენა.

ასევე მნიშვნელოვნად, წინ გადადგმულ ნაბიჯად, შეგვიძლია შევაფასოდ პროექტი, რომლის ფარგლებშიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის - UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრის კომიტეტმა 2013, 2015 და 2017 წლებში ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრში შეიტანა. საქართველოს ეროვნული არქივის მიერ წარდგენების შემდეგ UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის რეესტრი შეტანილია: 2015 წელს — 8 უძველესი ხელნაწერი, ხოლო 2017 წელს — სახარება-პალიმფსესტი, IX-X, XII-XIII, XIV სს.

არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია პროექტი „საქართველოს ქალაქები“, რომელიც 2009 წელს დაიწყო და საუკუნისწინანდელი ფოტოების თანამედროვეობასთან შედარებასა და ფოტოისტორიის შენახვას ემსახურება.

აქტიურად მიმდინარეობს დიגיტალიზაციის პროცესი, სრული ან ნაწილობრივი დიგიტალიზაცია განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით: ფოტოდოკუმენტების, წერილობითი დოკუმენტების, მიკროფილმების, კინოდოკუმენტებისა და ფონოდოკუმენტების დიგიტალიზაცია.

საქართველოს ეროვნული არქივი სერვისების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა, აქ 2016 წელს საგამოფენო პავილიონი გაიხსნა. პავილიონის პირველ სართულზე განთავსებულია საგამოფენო დარბაზი, ხოლო ანტრესოლზე - მედიათეკა, წიგნების მაღაზია და კაფე. ვიზიტორებს მედიათეკაში შეუძლიათ ისარგებლონ აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაზე ქართული და უცხოენოვანი წიგნებით, ასევე კომპიუტერებითა და ინტერნეტით. მაღაზიაში შესაძლებელია, საარქივო დოკუმენტების გამოყენებით დამზადებული ეროვნული არქივის გამოცემული წიგნების და მრავალფეროვანი პროდუქციის შეძენა. საგამოფენო დარბაზში ძირითადად წარმოდგენილია ექსპოზიციები, რომლებიც დამთვალიერებელს აცნობს ეროვნულ არქივში დაცულ საგანძურს. გამოფენებთან ერთად საგამოფენო პავილიონში იმართება საჯარო ლექციები, საგანმანათლებლო პროექტები და გამოცემების პრეზენტაციები. გამოფენათა დათვალიერება, ისევე, როგორც მედიათეკით სარგებლობა, უფასოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს ეროვნული არქივის მედიათეკის შექმნა“ 2013 წელს იუნესკოს „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში დაარსდა მედიათეკა. მედიათეკის დაარსებით თბილისში შეიქმნა საჯარო სივრცე, რომელიც დაეხმარება ადამიანებს თავისუფლად გაცვალონ ინფორმაცია სხვადასხვა მედიის მეშვეობით და ისწავლონ ამ ინფორმაციის გამოყენება. დაინტერესებული პირები კომფორტულ და ხელმისაწვდომ გარემოში გამოიყენებენ ელექტრონულ მასალებს არქივის ყველა არსებული კოლექციიდან (კინო, ფოტო, ფონო).

Link - საქართველოს ეროვნული არქივი (archive.gov.ge)

„ცოდნის კაფე“ კახეთის რეგიონის სოფელ წნორში მდებარეობს და აერთიანებს თემის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებს: წიგნის მაღაზიასა და ქართულ და ინგლისურ მულტიმედია ბიბლიოთეკებს, კაფეს ღია დისკუსიებისთვის და სივრცეს არაფორმალური სწავლისთვის. „ცოდნის კაფე“ მრავალი წლის განმავლობაში საკუთარი შენობის გარეშე ფუნქციონირებდა, თუმცა, მასშტაბური „ქრაუდ ფანდინგის“ კამპანიის („დადე შენი აგური“) შედეგად, ინიციატივის მენეჯერებმა მოახერხეს მიწის ყიდვა და სამსართულიანი სივრცის აშენება. შესაბამისად, მომდევნო წლებში, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, განახლებული „ცოდნის კაფე“ მასშტაბური განათლების ჰაბის როლს შეასრულებს რეგიონში.

[Link - ცოდნის კაფე - https://codnebi.ge/](https://codnebi.ge/)



ადგილობრივი კონტაქსტი და მოქალაქეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემოქმედებითი სივრცეების კონტექსტში შეიძლება გამოიყოს ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი, რომელიც განათლებისა და შეხვედრებისთვის თანამედროვე სივრცედ გარდაქმნის პროცესშია, ვიზიტორებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ეძლევათ შესაძლებლობა არამართო გაეცნონ ლიტერატურას, არამედ შეიკრიბონ, განიხილონ მათთვის საინტერესო საკითხები, და მიიღონ არაფორმალური განათლება. ამავე კონტექსტში, შეიძლება მოვიხსენიოთ ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ახალგაზრდებს სთავაზობს მათთვის საინტერესო სხვადასხვა აქტივობასა და მულტიფუნქციურ სივრცეებს.

მნიშვნელოვანია გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური რენვის ოსტატებისთვის მულტიფუნქციური შენობის განთავსების პროექტი “მოზაიკა”-ც, რომელიც განხორციელდა „დანიის ლტოლვილთა საბჭოს“ მიერ, საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის (GACC) და საქართველოს მემკვიდრეობისა და რენვის ასოციაციის (GHCA) ტექნიკური მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახელოვნებო სექტორის ერთიანი ხედვის შექმნა, რომელიც აერთიანებს, ტრადიციებს, ინოვაციებს, განათლებას, პროფესიულ განვითარებას რეგიონული ძლიერი იდენტობისა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის განვითარებას: არსებული რენვით რესურსების კაპიტალიზაციისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის გზით.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა ზუგდიდში 2022 წლის ოქტომბერში, მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაიწყო ზვიად გამსახურდიას სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის, მუზეუმისა და ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა. შენობის კონცეფცია, გულისხმობს ისეთი, მულტიფუნქციური სივრცის შექმნას, რომელიც ადგილობრივ მოსახლეებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს შეუქმნის განვითარების, საკუთარი იდეების დამუშავების, მათი წარდგენისა და სიახლეების დანერგვის მეტ საშუალებას. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში მოეწყობა სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის არქივი, მუდმივი და დროებითი საგამოფენო სივრცე, საინფორმაციო ცენტრი ტურისტებისთვის, სივრცე ინტერაქტიული სწავლებისთვის, კაფე და ვერანდა, რომელსაც ხედი დადიანების სასახლისკენ ექნება.

განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

არაახალია, რომ მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკად არის აღიარებული, ნაცვლად ახალი შენობების აშენებისა, უკვე არსებულის ხელახალი გამოყენება. ეს, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია რესურსების მდგრადი გამოყენებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ისტორიული შენობების ადაპტაცია/ხელახალი ფუნქციის შეძენა, საინტერესო, მრავალმხრივი სივრცეების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ზუგდიდის მაცხოვრებლების წინაშე შემოქმედებითი სივრცის არარსებობის აღმოფხვრის გზაზე, იმ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის პროცესში, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქსა და მის შემოგარენში ახალი მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცეების შექმნას და განვითარებას, სასურველია აღნიშნული პრინციპის გათვალისწინება.

მიტოვებულ შენობების შემოქმედებითი მიზნებით გამოყენება არა მხოლოდ კომერციულ, არამედ კულტურულ ღირებულებას სძენს. როგორც წესი, ხელოვნები და შემოქმედებითი პროფესიონალები, პოტენციალს ხედავენ იქ, სადაც ამას სხვები ვერ ამჩნევენ. მიტოვებული შენობების შემოქმედებით სივრცეებად გამოყენების თანმდევი სიკეთეებია:

- სოციალური და კულტურული აქტივობების გაძლიერება;
- ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის რესურსებზე (პირველ რიგში, სივრცეებზე) ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სივრცის დინამიკურობის შენარჩუნება და სოციალური ჯგუფების გაძლიერება;
- ახალი საჯარო სივრცის გახსნა და საჯარო სივრცეების მოწყობის კონცეფციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება

როგორც უკვე აღინიშნა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაერთი ფუნქცია დაკარგული შენობაა, რომელიც მიზანშეწონილია სამომავლოდ სხვადასხვა ფუნქციით იქნას დატვირთული. ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტისათვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს მის ტერიტორიაზე არსებული მიტოვებული, უფუნქციოდ დარჩენილი და მოუვლელი შენობები, ხოლო მეორე მხრივ ის წარმოადგენს დიდ პოტენციალს სამომავლოდ ახალი შემოქმედებითი, კულტურული, და არამხოლოდ, მიზიდულობის ცენტრების ჩამოყალიბებისა და შექმნისათვის, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ლოკალურ სოციო-ეკონომიკურ მდგრად განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არსებობს მრავალპროფილური შემოქმედებითი სივრცე, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეუქმნის შესაბამის სამუშაო გარემოს, საჭიროების შემთხვევაში მიიღებს რეზიდენტებს და ხელს შეუწყობს სოციალურ სამეწარმეო საქმიანობას. შესაბამისად, ზუგდიდში მსგავსი სივრცის გაჩენა უკიდურესად მნიშვნელოვანია, მითუმეტეს მუნიციპალიტეტში, და ზოგადად რეგიონებში, არსებული ფართომასშტაბიანი ადამიანური რესურსის გადინების ფონზე. დამატებითი მნიშვნელობა ეძლევა მსგავსი სივრცეების ჩამოყალიბებასა და განვითარებას ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მისი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვის გამო. სივრცე ხელმისაწვდომი უნდა გახდეს არა მარტო რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისა და ზოგადად შემოქმედებისათვის, არამედ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირებისთვისაც.

დამატებით, მულტიფუნქციური შემოქმედებითი სივრცეების განვითარება, ასევე ხელს შეუწყობს უშუალოდ ქალაქ ზუგდიდში მსხვილმასშტაბიანი ღონისძიებების ჩატარებას ან/და მასპინძლობას რომლის რესურსიც ამჟამად ფაქტიურად არ არსებობს.

ამდაგვარი სივრცეები, ქმნის სხვადასხვა ინტერესების მქონე პირთა საქმიანობის კოლაბორაციის შესაძლებლობას, ზრდის პიროვნულ პროდუქტიულობას, განვითარების შესაძლებლობებს. ახალი, ინოვაციური იდეების გაჩენასა და მათ ეფექტურ განხორციელებას.

საინტერესო / წარმატებული მაგალითები

მაგალითი 1

გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ოსტატებისთვის მულტიფუნქციური სივრცე „მოზაიკა“ როგორც უკვე აღინიშნა, 2023 წლის გაზაფხულზე, ზუგდიდის ცენტრში გაიხსნა, რომლის ფარგლებშიც მოხდება ადგილობრივი და რეგიონის სტუმრებისათვის ისეთი აქტივობების შეთავაზება როგორიცაა: საგანმანათლებლო საქმიანობა, კონფერენციები და გამოფენები. დემო სივრცეების ოპერირებისა და ხელნაკეთობების ოსტატების ადგილობრივი ქსელის შექმნის მიზნით. სამომავლოდ, დაგეგმილია აღნიშნული ცენტრის გარდაქმნა ხელნაკეთი ნივთების ოსტატთა სექტორის ბიზნეს ინკუბატორად.

ცენტრი მასპინძლობს ისეთ მულტიფუნქციურ სივრცეებს, როგორიცაა: შოუ ოთახი, მცირე დემო-ხელნაკეთობების სივრცეები, კაფე და საოჯახო სასტუმრო - 4 ოთახით. ასევე ცენტრში ფუნქციონირებს საგამოფენო და სასწავლო ოთახები, ხოლო ზედა სართული დაეთმო საოფისე ფართებს.

ხელნაკეთობების ცენტრი „მოზაიკა“ წარმოადგენს უნიკალურ ობიექტს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, რომელიც შექმნის მნიშვნელოვან ბაზას ეკონომიკური ზრდისათვის ხელნაკეთობების და სახელოვნებო სფეროში აქტიურ პირებისთვის ღონისძიებების, ტრენინგების, შესაძლებლობების გაძლიერებისა და ტურისტული საქმიანობის განვითარების გზით. აღნიშნული ცენტრი სრულმასშტაბიან ფუნქციონირებას 2023 წლის ზაფხულიდან შეუდგება.

მაგალითი 2

ზუგდიდის ტექნოპარკი 2016 წელს გაიხსნა, რომელიც პრეზიდენტის ზუგდიდის რეზიდენციაში განთავსდა. ტექნოპარკი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ტექნოლოგიებით. 700კვ.მ. ფართის შენობა ნაგებობები მთლიანად არის გახსნილი სივრცე, გახსნილი ცოდნისთვის, სი-ახლეებისთვის, ინოვაციებისთვის, ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის. მომსახურებები კი არის აბსოლუტურად უფასო.

ზუგდიდის ტექნოპარკში წარმოდგენილია როგორც სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (FabLab), ისე სასწავლო ცენტრი, ცო-წორკინგ ცენტრი, საკონფერენციო დარბაზი, კომპანიებისთვის ერთობლივი სამუშაო ადგილები, რეკრეაციული სივრცე და სხვა სერვისები, რომლებიც ქმნიან ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს უწყობენ ინოვაციური იდეების განვითარებას რეგიონში.

ტექნოპარკის მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებსა თუ ადგილობრივ მთავრობას, გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მენარმეობის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ადგილობრივმა დამწყებმა ბიზნესმენებმა იცოდნენ, თუ როგორ უნდა შექმნან სტარტაპები, რა ეტაპები უნდა გაიარონ იმისთვის, რომ კომპანიად ჩამოყალიბდნენ და წარმატებას მიაღწიონ. ტექნოლოგიური პარკი მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის. წვდომა ტექნოლოგიებზე ნიშნავს მის პროგრესზე ფეხის აწყობას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

ტექნოპარკი არის უნიკალური შესაძლებლობების სივრცე, პროგრესული წინსვლის საშუალება, მომავლის პროფესიების ფორმირების ადგილი და ინოვაციური ბაზრის გაფართოების პლატფორმა.

[Link - საქარტველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო \(gita.gov.ge\)](https://gita.gov.ge)

ფაბრიკა გახლავთ გასართობი, მულტიფუნქციური სივრცე ადგილობრივებისა თუ მოგზაურებისთვის, რომელიც განთავსებულია თბილისის ცენტრალურ უბანში. ეს გახლავთ ადგილი, სადაც ერთ სივრცეშია გაერთიანებული ურბანული კაფეები და ბარები, მაღაზია-სახელოსნოები, საგანმანათლებლო და საერთო სამუშაო სივრცეები, რეგიონში ყველაზე დიდი ჰოსტელი, ყველასთვის საყვარელი უზარმაზარი ეზო და ადგილი, სადაც იმართება უამრავი ღონისძიება.

საბჭოთა დროინდელმა სამკერვალო ფაბრიკამ ახალი სიცოცხლე შეიძინა და გარდაიქმნა მულტიფუნქციურ ურბანულ სივრცედ. ახლა აქ თავს იყრიან ენთუზიზმით სავსე ახალგაზრდები, რომლებიც მუდმივად მზად არიან სრულიად ახალი და განსხვავებული გამოცდილების მისაღებად და გასაზიერებლად.

აქ ყველა სივრცეს თავისი განუმეორებელი კონცეფცია და ატმოსფერო აქვს და ერთად ისინი უნიკალურ გარემოს ქმნიან.

[Link - ჩვენი შესახებ | Fabrika \(fabrikatbilisi.com\)](http://fabrika.fabrikatbilisi.com)



მულტიფუნქციური სივრცე „ხელოვნების ქალაქი“ - ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე ხელოვნების ქალაქის მშენებლობის პირველი ფაზა დასრულდა.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე „ხელოვნების ქალაქის“ მოსაწყობად სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

კინოსტუდიის ერთ-ერთ შენობაში უკვე განთავსდა ცნობილი ფოტოგრაფის, იური მეჩიტოვის, სტუდია; მოეწყო გამოფენა-გაყიდვის სივრცე სამხატვრო აკადემიის პროექტისთვის „ლურჯი სუფრა“; ასევე, ფუნქციონირებს მსახიობების შერჩევის სააგენტო - „Eka Cast Agency“.

ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა „თოჯინების სახლი“, სადაც თბილისსა და რეგიონებში მოქმედი თეატრებისთვის სპეციალისტები დაამზადებენ თოჯინებს, პატარა მაყურებლებისთვის კი გაიმართება თოჯინური სპექტაკლები. მათ ექნებათ საშუალება, დაათვალიერონ სახელოსნო და თავად გახდნენ თოჯინების შექმნის პროცესის მონაწილეები. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს მეთოჯინის პროფესიის პოპულარიზაციას.

ასევე, ტერიტორიაზე ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „Fest | Novd“-ს თბილისის ფილიალიც იქნება.

სამუშაოების მეორე ფაზის განხორციელების შედეგად, ღია სივრცე მსურველებს მასტერკლასებისა და ვორკშოპების ჩატარების საშუალებასაც მისცემს. ასევე, ტერიტორიაზე შეიქმნება მულტიფუნქციური სტუდიები; მოეწყობა კლუბური სტილის კინოდარბაზი კინოჩვენებისა და დისკუსიებისთვის, აღდგება მულტსტუდია.

ადგილობრივი კონტექსტი და მოქლე მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია, ჯამში, 10 პარკი და სკვერი (ზუგდიდის ცენტრალური პარკი (ე. წ. „სკეიტ პარკი“); ზუგდიდის ევროპული პარკი (ე.წ. „ფრანგული“); ზუგდიდის XIX საუკუნის ცენტრალური ბულვარი; 9 აპრილის სკვერი; იონა მეუნარგიას სახელობის სკვერი; განმუხურის ბულვარი და აკვა- პარკი; ანაკლიის დასვენების პარკი; ზუგდიდის ვეტერანთა ხეივანი და სკვერი; ემიგრანტთა ბაღი “ფესვები”, სამაიას ბაღი), რომელიც ასევე შეიძლება განხილულ იქნას როგორც კულტურული ატრაქცია, რასაც ემატება ბოტანიკური ბაღისა და „დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის“ ტერიტორია.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც მდებარეობით, ასევე კლიმატური პირობებით, ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას წარმოადგენს ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეების ინტროდუქციის, კვლევისა და აკლიმატიზაციისათვის. ტერიტორიაზე ირგვება 3 000 ძირი სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული ხე, ბუჩქი თუ დეკორატიული მცენარე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანის საპასუხოდ, 2022 წელს „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“ ევროპულ ისტორიული ბაღების მარშრუტების ასოციაციის წევრად აირჩიეს. რაც მის ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე მნიშვნელობასა და აღიარებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. ბოტანიკური ბაღის კეთილდღეობისა და განვითარების პროცესში, საერთო ჯამში, ჩართულია 75 პირი, აქედან 30 ქალი და 45 მამაკაცი, საიდანაც 13.33 % იძულებით გადაადგილებული, ხოლო 1.33 % შშმ პირია.

ზუგდიდი, ასევე, მოიცავს კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილს. იუნესკომ 2021 წლის 26 ივლისს საქართველოს კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა. შავი ზღვის სანაპიროს 80 კმ-იან ზოლზე მდებარე ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა 7 ნაწილისგან შედგება და მასში შედის, კოლხეთის ეროვნული პარკიც.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ასევე, გამოირჩევა საკურორტო ზონების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, მის ტერიტორიაზე ვხვდებით 3 ერთმანეთისგან განსხვავებულ კურორტს. ჭკადუაში ბალნეო-კლიმატური კურორტია, სადაც მთისა და ზღვის ჰავა ერწყმის ერთმანეთს. სოფლის ტერიტორიაზე შეგიძლიათ მოინახულოთ შუა საუკუნეების მემკვიდრეობა. ანაკლია ზღვისპირა, კლიმატური კურორტია, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. ცაიში კი ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ჰიპერთერმული და ჰიპოთერმული მინერალური წყლები, რომელთა სამკურნალო თვისებები ჯერ კიდევ ვახუმტი ბატონიშვილს აქვს აღწერილი. დღეისთვის გამოკვლეულია ცაიშის 18 მინერალური წყარო და დადგენილია, რომ აქაურ ჰიპოთერმულ მინერალურ წყალს უნიკალური შემადგენლობა აქვს.

განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან, მაგალითად, ფონდი “ქართუს” მიერ მომზადდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის პროექტი, ასევე პერიოდულად ხორციელდება პარკებისა და სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობითა და აქტიური მონაწილეობით, ადგილობრივ დონეზე, არის ცალკეული მცდელობები ღია, საჯარო სივრცეების მულტიფუნქციურად ათვისების კუთხით. მაგალითად, 2020 წელს ზუგდიდის სკეიტ პარკში პროექტის „ეთნოცენტრი - ტრადიციული რენვის განვითარებისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, ეთნოსივრცე გაიხსნა. პარკში პავილიონები განთავსდა, რომელთა მიზანი და დანიშნულება ტრადიციული რენვის მწარმოებელთა ბიზნესუნარებისა და სარეალიზაციო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა, ტრადიციული რენვის პროდუქციის გაყიდვისა და პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება იყო. თავისი შინაარსით პროექტი მნიშვნელოვანი იყო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. თუმცა სამწუხაროდ, ვერ ჰპოვა განვითარება და მალევე დაიხურა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსი პარკების, სკვერების, კურორტების, ღია და საჯარო სივრცეების პოტენციალი იმაზე დიდია ვიდრე რეალურად არის გამოყენებული. აღნიშნული სივრცეები აღქმული უნდა იყოს როგორც დამატებითი კულტურულ-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურული რესურსი, რომელთა არეალი და შესაძლებლობები სცილდება დოგმად დადგენილ საზღვრებს.

აქ შესაძლებელია მოეწყოს არამხოლოდ სახელმწიფო და სახალხო დღესასწაულები, არამედ კულტურული თუ შემოქმედებითი კვირეულები და უქმეები. მოეწყოს გამოფენა-გაყიდვები, მუსიკალური კუთხეები (იმპროვიზირებული სცენა), დამონტაჟდეს ციფრული ბანერები და გზამკვლევები ზუგდიდის ღირშესანიშნაობებისა და კულტურული მარშრუტების შესახებ. ასევე შესაძლებელია გრძელვადიანი აფიშების განთავსება ყველა მიმდინარე ღონისძიების შესახებ. რომელიც ხორციელდება მუნიციპალიტეტში. ზაფხულის დღეებში მოეწყოს კინოჩვენებები (მათ შორის პატარებისათვის, მაგ. მულტიპლიკაციის კვირეული და სხვა). სარეკრეაციო ზონები უნდა წარმოადგენდნენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე კულტურული და შემოქმედებითი პროცესების ერთგვარ მთავარ არტერიას.



საინტერესო / წარმატებული მაგალითები

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი - ბოტანიკური ბაღის მშენებლობა უკავშირდება დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის სახელს, თუმცა ბაღის მშენებლობისა და განვითარების პირველ ეტაპად, შეიძლება ჩაითვალოს გრიგოლ დადიანისა (1788-1804) და მისი მემკვიდრის ლევან მე-5 დადიანის (1804-1846) (დავითის მამა) პერიოდი. ლევან დადიანმა სასახლის გარშემო ტყეების ერთი ნაწილი შემოუსაზღვრავს ხელოვნური ზღუდით, რომელიც მიჩნეულ იქნა სასახლის ბაღად. ლევანმა ბაღის ევროპულ ყაიდაზე მოწყობისა და განაშენიანების იდეა გაანდო თავის მეუღლეს ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული მეზაღეობაზე. მოწვეულ იქნა ცნობილი იტალიელი მეზაღე ჟოზეფ ბაბინი. ევროპიდან ჩამოტანილ იქნა იშვიათი ჯიშის სხვადასხვა ხე-მცენარეების და ყვავილების ჯიშები. ყოველივე ამას ადასტურებს კორნელი ბოროზდინი თავის ნაშრომში „ომერ ფაშა სამეგრელოზე“ სადაც წერს, რომ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი გამოირჩევა თავისი სილამაზით და ბაღალი არ ჰყავს მთელს ამიერკავკასიაში.

თანამედროვე ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეკონსტრუქცია 2018 წლის თებერვალში დაიწყო. ბაღის აღდგენის სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა შეასრულა.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო შიდა ბილიკები, ხელოვნური ტბა და წყლის არხები, აშენდა ადმინისტრაციული შენობა, მოეწყო განათების სისტემა, დამონტაჟდა სკამები და ნაგვის ურნები. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი დამთვალიერებლებისთვის 2019 წლის 30 დეკემბერს გაიხსნა.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი გთავაზობთ საკონფერენციო დარბაზით და ღია სივრცეების სარგებლობის შესაძლებლობას. საკონფერენციო დარბაზის ფართობი არის 165 კვ.მ და 100 მონაწილეზეა გათვლილი. დარბაზი უზრუნველყოფილია კომფორტული ავეჯით და ყველა საჭირო ტექნიკით. შესაძლებელია ბიზნეს შეხვედრების, კონფერენციების, შეხვედრების, გამოფენების, პრეზენტაციების დაგეგმვა. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ღია სივრცეები განკუთვნილია საქორწილო, საზეიმო, კულტურული და სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, გამოფენებისა და პრეზენტაციებისთვის, კემპინგებისა და პიკნიკებისთვის.

სამომავლოდ, ბოტანიკურ ბაღში იგეგმება, მუზეუმის დარბაზის მოწყობა, სადაც განთავსდება ბოტანიკურ ბაღში, სამთავრობო სასახლის შესწავლის პროცესში აღმოჩენილი არტეფაქტები. ასევე, ბოტანიკური ბაღის სურათებით მაგნიტური სუვენირების დამზადება და გაყიდვა, ზაფხულის განმავლობაში რეგულარულად ფილმების ჩვენებები ღია სივრცეში, კვების ობიექტის მოწყობა. გარდა ამისა, ბაღის მომსახურების სერვისს დაემატება გიდის მომსახურეობაც.

ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, განთავსებულია სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) ოფისი. ასევე ის, როგორც უკვე აღინიშნა, ესაზღვრება დადიანების სასახლის ბაღსა და ცენტრალურ პარკს, იგივე ზუგდიდის სკეიტპარკს, მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია საბავშვო ატრაქციონებიც. შესაბამისად, ყოველივე ზემო ჩამოთვლილის გათვალისწინებით, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, თვისი ადგილმდებარეობითა და არსებული პოტენციალით, გვევლინება როგორც უნიკალური, საინტერესო, მრავალი შესაძლებლობების მქონე და ტურისტულად მიმზიდველი ატრაქცია.

[Link - https://www.facebook.com/ZugdidiBotanicalGarden/](https://www.facebook.com/ZugdidiBotanicalGarden/)

[Link ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი | Georgian Travel Guide-](#)



საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი თბილისში, სოლოლაკის ქედის სამხრეთით, მდინარე ნავკისისწყლის (ლელვთახევი) ხეობაში მდებარეობს.

ბაღი როგორც დასვენებისა და განტვირთვისთვის, ასევე ექსტრემით, მეკლდეურობითა და მეცნიერებით დაინტერესებული ადამიანებისთვის არის საინტერესო. აქ ნახავთ მრავალფეროვან ვარდნარს, იასამნების კოლექციას, წიწვოვანთა კოლექციას, იაპონურ ბაღს, ულამაზეს ჩანჩქერს, ხეებში ჩაფლულ ხიდებსა და შადრევნებს. ბაღში მოწყობილია დასასვენებელი ფანჩატურები, სასეირნო ბილიკები ხეივნებსა და მოყვავილე ბაღებს შორის, ბელვედერი, საიდანაც ბოტანიკური ბაღის ზედხედით დატკბებით. აქ ასევე ფუნქციონირებს კაფე, მუზეუმი და სადღესასწაულო სივრცე, სადაც ჯვრისნერის ცერემონიის მოწყობაა შესაძლებელი. ბაღში არის საბავშვო სივრცეც საქანელებითა და სხვა გასართობებით. ნარიყალას ციხე-სიმაგრეიდან კი, ბოტანიკურ ბაღში ზიპლაინით დაშვებაა შესაძლებელი. ბაღის ტერიტორიაზე ასევე არის საცოცი კლდეც აქტიური სპორტის მოყვარულთათვის. ბოტანიკური ბაღის ვიზიტორთა ცენტრში საინტერესო ტურებსაც შემოგთავაზებენ, როგორიცაა: შემეცნებითი ტური, საბავშვო მარშრუტი, ველო მარშრუტი და ტური ელექტრომობილებით. ბოტანიკური ბაღი თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, მრავალფეროვანი მოყვავილე ბაღები, ხეივნები, ბილიკები, დუმფარებიანი აუზები, ეგზოტიკური მცენარეები, ჩანჩქერი და ლამაზი, პატარა ხიდები მიმზიდველ გარემოს ქმნის, ამიტომაც იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ მრავალი სხვადასხვა ინტერესის მქონე ადამიანს შეუძლია მისთვის სასურველი გარემო იპოვოს და საინტერესოდ და სასიამოვნოდ გაატაროს დრო.

ბოტანიკური ბაღი მასპინძლობს ისეთ ღონისძიებებს, როგორიც არის: ფესტივალები (პურის ფესტივალი, ნაყინის ფესტივალი, შოკოლადის ფესტივალი, თაფლის ფესტივალი და სხვა), სამეცნიერო კონფერენციებს, სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსებს, საჯარო შეხვედრებს, გამოფენებსა და სხვა.

[Link - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი \(nbgg.ge\)](http://nbgg.ge)

მუსიკოსთა პარკი, Black Sea Arena-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით, 2016 წლიდან ფუნქციონირებს. 21 ჰექტარ ტერიტორიაზე გაშენებულ პარკში გვხვდება უნიკალური ჯიშის მრავალწლიანი მცენარეები, ლამაზი ბილიკები, მოსასვენებელი სივრცეები და სამი ღია სცენა. პარკის სივრცეში განთავსებულია სკვერი, სადაც როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მუსიკოსების ძეგლები დგას - ძეგლების მიმდებარე ტერიტორიაზე კი მუდმივად ჟღერს ამ არტისტების მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებები..

მუსიკოსთა პარკი დამსვენებლებს სხვადასხვა ტიპის შემეცნებით და გასართობ პროექტებსაც სთავაზობს, რომლებიც პარკში დროის გატარების გამოცდილებას კიდევ უფრო დასამახსოვრებელს ხდის. პარკის ტერიტორიაზე პერიოდულად ეწყობა გამოფენები, კონცერტები მასტერკლასები კულინარიაში, სივრცე კრაფტინიგსთვის, სათავგადასავლო თამაშები, ბავშვების განწყობაზე ზრუნავენ მხატვარ-კარიკატურისტები და სხვა.

პარკის ტერიტორიაზე შექმნილია სოციალური სივრცე, რომელიც ხეების გარემოცვაში, ზღვასთან ახლოს შექმნილი გარემოა იმისათვის, რომ ადამიანის და ბუნების ჰარმონიულ თანაცხოვრებას კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი. სივრცის დანიშნულებაა ადამიანები ერთი მიზნის გარშემო გააერთიანოს, რაც ცოდნისა თუ გამოცდილების გაზიარებით გარემოსა და ერთმანეთზე ზრუნვას გულისხმობს.

იმისათვის რომ ბუნებას ნაკლები ზიანი მიეყენოს, ინტერიერის თუ დეკორის ყველა დეტალი გადამუშავებული და მეორადი მასალებისგან არის დამზადებული. ეს იდეა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია სოციალური სივრცისთვის. აქვე მოწყობილია კაფე და ბიბლიოთეკა.

[Link - Black Sea Arena | მუსიკოსთა პარკი \(bsa.ge\)](http://bsa.ge)

[Link - Facebook](#)

„გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ“ ძირითადი პრინციპები და პრაქტიკული რჩევები - მომზადდა პროფესორის, დოქტორ ლილია ვარბანოვასა და ნიკოლოზ ნადირაშვილის მიერ;

„შემოქმედებითი კლასტერების ეკოსისტემის განვითარება საქართველოში“ - ნიკოლოზ ნადირაშვილი, დოქტორი ლილია ვარბანოვა;

ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია 2022-2026;

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - თემურ მახარაძე. თეატრი - როგორც კულტურის სფეროს რესურსი და მენეჯმენტის შესაძლებლობები;

თეატრი •Theatre | Facebook და თეატრის პრეზენტაცია;

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - თემურ მახარაძე. თეატრი - როგორც კულტურის სფეროს რესურსი და მენეჯმენტის შესაძლებლობები;

სახელმძღვანელო მუზეუმის მენეჯერთათვის - კონსტანტიოსი დიმიტრიოს, კონსტანტიოსი ნიკოლას, ცომბანოლლუ ლიანა;

მთავარი - Art Palace | ხელოვნების სასახლე;

ილიას სახლი — ევროპული საქართველოს მეტაფორა — მუზეუმების გაერთიანება (tbilismuseumsunion.ge);

“შემოქმედებითი ინდუსტრიების მაგალითები საქართველოდან” - დოკუმენტი მომზადებულია სსიპ შემოქმედებითი საქართველოს პროექტის - „შემოქმედებითი გარდასახვა: შემოქმედებითი და კულტურის ინდუსტრიების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების“, ფარგლებში;

Facebook;

საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოში 21-ე საუკუნის ხედვა;

ეროვნულ ბიბლიოთეკაში პრესის მუზეუმი გაიხსნა (ipress.ge);

წიგნის მუზეუმი (Tbilisi) - ვიკიპედია (wikipedia.org);

[https://akhaliganatleba.ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%92%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%96%e1%83%94%e1%83%a3/](https://akhaliganatleba.ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%92%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9b%e1%83%a3%e1%83%96%e1%83%94%e1%83%a3/;);

ზუგდიდში სკვერის ბიბლიოთეკა “ოდა სამკითხველო” გაიხსნა - YouTube;

NPLG - ბიბლიოთეკის სიახლეები;

რეზო გაბრიაძის კინობიბლიოთეკა და კინოდარბაზი ეროვნულ ბიბლიოთეკაში » kvira.ge.